ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 ოქტომბერი 2002 №196 (1718) ფასი 50 თეთრი




# მატჩი, რომელიც შეიძლება შეგვაწერონ

## გაზაევი ნეიტრალურ მოედანზე ალაპარაკდა

სტადიონის ჩაბნელებით ჩაშლილი საქართველო—რუსეთი გაისად და ნეიტრალურ მოედანზე უნდა გაიმართოს— თქვა გუშინ ვოლგოგრადში ალბანეთთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე რუსთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა და, ჩვენი რუსი კოლეგების მტკიცებით, პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ვიაჩესლავ კოლოსკოვთან სასაუბროდ განმარტოვდა. რა ილაპარაკეს და მოილაპარაკეს მწვრთნელმა და რუსული ფეხბურთის პრეზიდენტმა, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ გაზაევის პირით გახმოვანებული თავში ნახსენები მოსაზრება, ვფიქრობთ, სწორედ კოლოსკოვის რჩევა-დარიგების შედეგია.

12 ოქტომბრის ვერდასრულებულ მატჩს რომ რუსები სათავისოდ გამოიყენებდნენ, ამას ბევრი მარჩიელობა არ სჭირდებოდა. ჰოდა, თუკი უეფამ გადათამაშება მართლაც ნეიტრალურ მოედანზე და გაისად ბრძანა, ჩათვალეთ, რუსებმა მიზანში მოარტყეს. ამის თქმის საბაბს კი შემდეგი გარემოება გვაძლევს — შესარჩევი ციკლის მილეულს პორტუგალიაში მოხვედრის მეტი შანსი, სავარაუდოდ (ნეტავი მართლა სავარაუდოდ), გაზაევის გუნდს ექნება. არა გვგონია, ჩივაძის გაწვრთნილმა და ტრადიციულად უმოტივაციო ნაკრებმა ნეიტრალურ მოედანზე ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს „ორთავა არწივს". ვინძლო, არც იმის დავიწყება ეგების, როგორ შეხმატკბილობენ ვიაჩესლავ კოლოსკოვი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. თანაც ახლა ფედერაცია კოლოსკოვთან ვალშია — რუსებმა სათბილისოდ ამდენი ხარჯი გაიღეს, შინ კი ხელცარიელნი ანუ უქულოდ წავიდნენ.

ვითარებას კი ნათელს უეფას გადაწყვეტილება მოჰფენს. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ თბილისური ინციდენტის გამოძიება დამოუკიდებლად დაიწყო — საქმე გამოსაკვლევად გადასცა სადისციპლინო დეპარტამენტს, რომლის დასკვნასაც სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს და განაჩენსაც ის გამოიტანს.

# რას იზამს ჩივაძე?





# ახალი ვერსია: სტაბილიზატორი

## ლოკომოტივის ჩაბნელებას უეფაც გამოიძიებს

„ლოკომოტივი“ ჩაბნელდა, საქართველო — რუსეთი ჩაიშალა. უეფას დელეგატმა რუდოლფ ბატამ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების შემდეგ თამაშის გადადება სამომავლოდ ბრძანა. წავიდნენ რუსები. აქ რომ ერთი შეხედვით ტკბილად გვეჭუკჭუკებოდნენ, საქართველოდან აბარგებულებმა გუდას პირი მოხსნეს და სადღეისოდ გაზაევს და მის სამწყსოს თბილისში ხელმეორედ სტუმრობის გაგონებაც არ უნდა. ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშების იდეაც ნელ-ნელა შემოგვაპარეს 12 ოქტომბრის შემდეგ დაწყებულ ღომხალში.

საქართველო — რუსეთის ნეიტრალურზე ჩატარებას კი ნამდვილად ვერ ვაპატიებთ ფეხბურთის ფედერაციას. ისიც კმარა, რომ ბევრი რამაა საეჭვო და რა მიზეზით ჩაქრა „ლოკომოტივი“, დღემდე ვერ გაგვიგია.

ვინ არ იძიებს აღნიშნულ საქმეს, უშიშროების სამინისტროდან დაწყებული, ფედერაციისა და „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობით დამთავრებული. დღემდე ვერავის უთქვამს, რა იყო ეს, საბოტაჟი თუ ტექნიკური გაუმართაობა. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ 12 ოქტომბრის ამბებში თვით უეფასაც რაღაც არ მოეწონა, მატჩის დელეგატის პატაკს კი ენდობა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, სპეციალური კომისიის გამოგზავნას ზემოდანაც აპირებენ.

დღეს უკვე ირკვევა, რომ სტადიონზე კაბელები არ აფეთქებულა, პროჟექტორებზე „სიმენსის“ ფირმის ნათურები არ გადამწვარა და წინასწარი ვარაუდით, ტრანსფორმატორიც მწყობრშია.

ჯერჯერობით ვერავინ ამბობს, რატომ ვერ იმუშავა გენერატორმა. გუშინდლამდე ის დალუქული იყო, იმ თურქული ფირმის წარმომადგენელს ელოდნენ, ვისგანაც სათადარიგო ელკვების აპარატი შეიძინეს და ვინც „ლოკომოტივზე“ დაამონტაჟა. ჩამოვიდა თურქი თავისი ფირმის პრესტიჟის დასაცავად, მიიხედმოიხედა და ცოტა ხანში ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ხელებიც დაიბანა. ჩვენგან გაყიდული გენერატორის საგარანტიო ერთწლიან ხელშეკრულებას ვადა ერთი თვის წინ გაუვიდა, ამიტომ თქვენი პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლოაო. მიდი და უყარე კაკალი, ეძებე, ვინ ვერ მოუარა, რატომ ვერ ივარგა რკინიგზელთა მიერ ნაქებმა გენერატორმა ცამეტ თვეზე მეტხანს.

„სიმენსისთვის“ პრეტენზიის წაყენება უსაფუძვლოა. შენ ძაბვა მიეცი და ნათურები ბრდღვიალებენ. ერთადერთი, რაც მწყობრიდან გამოსულია, ტრანსფორმატორის სტაბილიზატორი გახლავთ. ის გადამწვარია.

სტადიონის ტექნიკური პერსონალის განცხადებით, ძირითადი და სათადარიგო ელკვების სისტემა 11 ოქტომბერსაც საფუძვლიანად შეამოწმეს და თამაშამდეც ვერანაირი ხარვეზი ვერ შევნიშნეთო.

მაშ, რა იყო „ლოკომოტივის“ ჩაბნელების ნამდვილი მიზეზი? საქართველოში კი ხმები დადის, შუქი განგებ, წინასწარ განზრახვით ჩააქრესო. უეფაც ხომ ამის გარკვევას ეშურება.

**გაგუცა ძვანტალიანი**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
### შესარჩევი ეტაპი



**მესამე ტური. 15 ოქტომბერი**

**I ჯგუფი**
მალტა 0:3 საფრანგეთი

**II ჯგუფი**
ნორვეგია 0:0 ბოსნია
ლუქსემბურგი 0:2 რუმინეთი

**III ჯგუფი**
ავსტრია 1:1 ჰოლანდია
ჩეხეთი — ბელარუსი
დღეს გაიმართება

**IV ჯგუფი**
უნგრეთი 4:1 სან მარინო

**V ჯგუფი**
ისლანდია 1:2 ლიტვა

**VI ჯგუფი**
ჩრდ. ირლანდია 1:1 უკრაინა
საბერძნეთი 2:1 სომხეთი

**VII ჯგუფი**
თურქეთი 4:2 პორტუგალია
ინგლისი 3:1 მაკედონია

**VIII ჯგუფი**
ესტონეთი 0:1 ბელგია

**IX ჯგუფი**
უელსი 1:2 იტალია
იუგოსლავია 3:3 ფინეთი

**X ჯგუფი**
ირლანდია 2:3 შვეიცარია
რუსეთი — ალბანეთი
დღეს გაიმართება

**დანია**
**თასის 1/16 ფინალი**
ვიბორგი 3:0 ორჰუსი

**ამხანაგური მატჩი**
შოტლანდია 3:1 კანადა


## რესტორანი მშვიდი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე
* პროფესიონალები სამზარეულოში და შეამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით. გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით


საქართველოს 14 უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი პირველი ეტაპი 11 ტური

# მეტალურგს წაგება დააძალეს

გურჯაანი. 15 ოქტომბერი. 16. 05 საათი. დავით ბიწიანი. 200 (ტევადობა 10 000)

## მილანი 1:0 მეტალურგი

| |
|---|
| 1:0 ეგაძე (79) |
| მილანი: ასლანაძე, ტარულაშვილი, ჯაბუა, ბაობია, მეტონიძე, ვართაგავა, ჯაფარიძე, ჭალიაშვილი (ეგაძე 76), შელეგია, ვარამაშვილი (ქარჩავა 76), ლულუნაძე. სათადარიგონი: მამალაძე, ლამბაშიძე, დანელია, ვეადეიშვილი, დათუაშვილი. მწვრთნელი: ალიოშა არევაძე |
| მეტალურგი: მერკვილიშვილი, მეზარნიშვილი, გურეშიძე, მაღლაკელიძე, გარიჭიძე, ჩარუა, კ. თავბერიძე (ტუმბურიძე 76), ქედელაძე, სულაკაძე, ხაჭაპურიძე, ფოფხაძე. სათადარიგონი: მჭედლიძე, შველიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე |
| მსაჯები: გ. მაისურაძე, ზ. ჯვარიძე, გ. ურუშაძე, გ. მაღალურაძე (ყველა თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა |
| ჯარიმა: 20-22; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 7-5; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 4-6 |

**პაატა ძვანტალიანი გურჯაანიდან**

**ცუდი ამბით** დავიწყოთ — „მეტალურგი“ გურჯაანში არ ჩადიოდა სათამაშოდ. გუშინ დილით სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტში ზესტაფონიდან დარეკეს, „მილანს“ რომ არ ვესტუმროთ, რა გველისო. ფედერაციიდან მკაცრად გააფრთხილეს იმერლები, თამაში არ ჩაშალოთო. ჰოდა, ძალისძალად შეაკოწიწა ზაურ ჩუბინიძემ პატრონმიტოვებული გუნდი და მატჩის დაწყებამდე 15 წუთი რჩებოდა, ზესტაფონელთა სამარშრუტო ტაქსი გურჯაანის ცენტრალურ სტადიონს რომ მოადგა. ადვილი წარმოსადგენია, წელათრეულ იმერლებს რა წინააღმდეგობაც უნდა გაეწიათ შინ გუშინდლამდე ვერმოუგებელ, ბრძოლის იშტაზე მყოფ კახელთათვის. მოკლედ, ძალიან არასახარბიელო ვითარებაშია „მეტალურგი“ და თუ ზესტაფონში ფეხბურთისადმი მიდგომა არ შეიცვალა, გუნდი დაიშლება, ამით კი ისევ და ისევ ჩვენი ისედაც წამხდარი ჩემპიონატი იზარალებს.

კარგი ამბით გავაგრძელოთ. 17-თვიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მეკარე დავით ასლანაძე. მან ბოლოს „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ითამაშა „მერანთან“ სათასო ნახევარფინალურ მატჩში და მას შემდეგ მტკივან ხერხემალს მკურნალობდა. „მილანში“ დებიუტი წარმატებული გამოდგა ექსლოკომოტიველისთვის. ასლანაძემ კარიც მშრალად შეინახა და მთელი მატჩის განმავლობაში უშეცდომოდ გაისარჯა.

ასლანაძის არ იყოს, წარმატებული დებიუტი მოიწყო ალიოშა არევაძემაც. მცხეთაში „დილასთან“ მარცხის შემდეგ „მილანის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელობიდან ბერდია გვენცაძე დაითხოვა და მის საქმეს გუნდში სწორედ არევაძე ასრულებს. ყოფილი მეორე მწვრთნელი „მილანის“ მესაჭეობას მინიმუმ საშემოდგომო ეტაპის ბოლომდე გასწევს.

„მილანმა“ გურჯაანის სტადიონს ჯადო ახსნა. აგვისტოდან გუშინდლამდე „ცენტრალურის“ მასპინძელ გუნდს მოგება არ ჰქონდა. ამ მოედანზე პირველლიგელი „ალაზანიც“ თამაშობს ჯერაც წარუმატებლად. ნავსი „მილანმა“ გატეხა და მეტად საჭირო სამი ქულა შეაკოწიწა იმერლებთან ბრძოლაში.

ქიზიყელთა გუნდის ძირითადს დაუბრუნდა სწრაფი და ტექნიკური შემტევი ოთარ ვარამაშვილი, თუმცა ტრავმით განაწამები ეს ფეხბურთელი ჯერ შორსაა ჩვეული ფორმისგან.

„მილანმა“ თავიდანვე მძლავრად შეუტია მეტოქეს, მაგრამ დატბორილ მოედანზე ზუსტი პასები და დრიბლინგი უჭირდათ ფეხბურთელებს, ამიტომ მასპინძლებმა იოლი გზით — მეტოქის საჯარიმოსკენ ჩაგდებული შორეული პასებით სცადეს ფონს გასვლა, თუმცა ასეთმა ტაქტიკამ მოედნის ცენტრალური ნაწილი გამოათავისუფლა და სტუმრებს კონტრშეტევების შანსი გაუჩნდათ. ორჯერ ამ გზით გატანაც მართებდათ ჩუბინიძის შეგირდებს, მაგრამ რეალური საგოლე მომენტები გააცუდეს. ჯერ, 23-ე წუთზე გარიჭიძემ ააცილა საპირე მეტრიდან, ტაიმის ბოლოს კი ქედელაძე გაძვრა მარჯვენა ფრთაზე და ზუსტი გადაცემით ფოფხაძეს დაასვა ბურთი ფეხზე, ათიოდე მეტრიდან მისი დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა. სულ ეს იყო, რაც ზესტაფონელებმა გუშინდელ მატჩში შექმნეს. თავის მხრივ „მილანს“ საპირველტაიმო საგოლე შანსი არ ჰქონია.

მეორე ტაიმში უფრო ყურადღებით მოეკიდნენ საქმეს მასპინძლები. და მალე ლულუნაძემ ჭალიაშვილის კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით ხარიხაც ააზანზარა. ერთი-ორჯერ შელეგიამაც იაქტიურა, გასატანი ვარამაშვილსაც ჰქონდა, მაგრამ მონდომებით თამაშობდა სტუმართა ახალგაზრდა მეკარე რატდენ მერკვილიშვილი.

გარდამტეხი მომენტი 76-ე წუთზე დადგა. არევაძემ ტექნიკური, საზრიანი ქარჩავა და სწრაფი ეგაძე ჩართო თამაშში.

სამ წუთში მათ გამარჯვების გოლი გამოჭედეს. ქარჩავამ სამ მეურვეს აუბნია თავგზა მარჯვენა ფრთაზე და ჩახვეული პასით თავზე დაასვა ბურთი საჯარიმოში შევარდნილ ეგაძეს — გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა. სტუმრებმა ამის შემდეგ საბოლოოდ დაყარეს ფარ-ხმალი. მათგან მოედანზე მარტო რატდენ მერკვილიშვილი იყო, რომელმაც მატჩის ბოლოს თითოჯერ პირისპირ გასულ შელეგიასა და ლულუნაძეს არ გაატანინა.



ბერდია გვენცაძის ადგილი ალიოშა არევაძემ (მარჯვნივ) დაიკავა

რუსთავი. 15 ოქტომბერი. 16 საათი. ფოლადი. 500 (ტევადობა 12 000)

## გორდა 1:4 ტორპედო

0:1 პოროშინი (12), 0:2 იონანიძე (36პ), 1:2 ჯელაძე (39), 1:3 იონანიძე (61), 1:4 გამეზარდაშვილი (67)

**გორდა:** ბედიაშვილი, არსოშვილი, პაპაშვილი, ს. ბურნაძე, ბერიძე, ზ. ლაბაძე (ნოზელი 46), სილაგაძე (თავბერიძე 71), ზვ. ლაბაძე, ალადაშვილი, ჯელაძე, სოხაძე (ზაზაშვილი 59)
სათადარიგონი: ჩლაიძე, მიქავა, შიოშვილი, ბუკია
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**ტორპედო:** ჭანტურია, მახვილაძე, ხვადაგიანი, აკოფიანი, ქემოკლიძე, დიდავა, ჩომახიძე (ახალკაცი 75), იონანიძე (ზ. ქუთათელაძე 86), პოროშინი, ბაბუნაშვილი, მეტიანი (გამეზარდაშვილი 65)
სათადარიგონი: სტურუა, ლალაძე, ონაშვილი
**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**გაფრთხილება:** დიდავა (12), ჭანტურია (38), აკოფიანი (40), პაპაშვილი (58)

**განძევება:** ბურნაძე (35)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ჯარიმა: 10-11; კუთხური: 5-8; კარისკენ დარტყმა: 1-5; კარში დარტყმა: 8-8; თამაშგარე: 1-8



კახაბერ მესხს რუსთაველებმა პენალტის დანიშვნა არ მოუწონეს

# ტორპედო ხმელეთზე

## გორდა ათით ათი წუთით აგორდა

**დავით თავართქილაძე** რუსთავიდან

**ჩემპიონმა** ექსპერიმენტულად ითამაშა. კაპიტანი გივი დიდავა ალექსანდრ შტელინმა დაცვიდან ნახევარდაცვის ცენტრში გადასწია, ცენტრფორვარდად გაგა ჩხეტიანი გაამწესა, რომელსაც ფლანგებიდან ანდრი პოროშინი და ზურაბ იონანიძე ეხმარებოდნენ. მწვრთნელის ცვლილებებმა კი გასჭრა, მაგრამ როგორ წაადგება ეს „ტორპედოს" უფრო ძლიერ მეტოქეებთან, ძნელი სათქმელია.

შტელინმა კვლავ აქტიური, შემტევი ფეხბურთი ათამაშა ტორპედოელებს, რომელთაგან საუკეთესო დიდავა გახლდათ. ქება არც პოროშინს უნდა დავამადლოთ, ხოლო შოთა ბაბუნაშვილი, ალბათ მალე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდება.

გია გეგუჩაძის „გორდამ" კი მონდომებულად, ჯიგრით ითამაშა, უბრალოდ, მასზე გაცილებით ძლიერთან ვერაფერს გახდა. თუმცა შეხვედრაში იყო დაახლოებით ათწუთიანი მონაკვეთი, გუნდები ტოლ-სწორად რომ გამოიყურებოდნენ, რაც „გორდას" პერსპექტივებზე უნდა მიუთითებდეს — მიუხედავად დიდი ანგარიშით დამარცხებისა, რუსთაველთა თამაშში გარკვეული პოტენცია გამოსჭვიოდა.

პირველი ხიფათი „ტორპედომ" შექმნა, მაგრამ გიორგი ბედიაშვილთან პირისპირ შეჭრილმა პოროშინმა მეკარესთან მიახლოებას დარტყმა ამჯობინა, რომელიც არაზუსტი გამოდგა.

მერე დიდავა შეატოვეს ბედიაშვილს, ქუთაისელთა კაპიტანი „გორდას" გოლკიპერსაც გასცდა, თუმცა რუსთაველმა იგი წააქცია — არბიტრმა 11-მეტრიანი არ დანიშნა, კუთხურისკენ მიუთითა და გოლიც ამის მერე გავიდა — ჩომახიძის ჩაწოდებულს ჩხეტიანმა თავი ვერ დაჰკრა, სამაგიეროდ, შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა პოროშინმა მოახერხა ეს უნაკლოდ.

რუსთაველებმა ჯელაძე-ზურაბ ლაბაძე-სოხაძის კომბინაციით უპასუხეს, ამ უკანასკნელმა ჰაერში ეფექტურად, მაგრამ სუსტად დაარტყა და ჭანტურიაც იოლად დაეუფლა ბურთს.

შემდეგ თანაგუნდელთა დახმარებით რევაზ ქემოკლიძემ გაარღვია რუსთაველთა დაცვითი ეშელონები, ბედიაშვილიც უკან ჩამოიტოვა, დაარტყა და ლამის კარის ხაზიდან ბურთი ალექსანდრე ბურნაძემ გამოიტანა, ქემოკლიძემ დაამატა და ბურნაძემ უკვე ხელებით მოიგერია ბურთი — კახაბერ მესხმაც პენალტი დანიშნა. თუმცა, რატომღაც „გორდას" ფეხბურთელები არბიტრის ამ გადაწყვეტილებამ ალაშფოთა, მიეჭრნენ მესხს და ხელ-ფეხითაც შეეხნენ. მსაჯი გაილახაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ბევრიც არაფერი უკლდა. გაუგებარი იყო ისიც, თუ რატომ მყისვე არ გააძევა მესხმა ბურნაძე — იონანიძე 11-მეტრიანის დასარტყმელად რომ შეიმართა, ბურნაძეს მაშინ აუფრიალეს წითელი არბიტრთან შელაპარაკებისთვის.



ზურაბ იონანიძის პენალტიდან გატანილი ეს გოლი ეროვნულ ჩემპიონატებში 149-ე გამოდგა. ქუთაისელმა გუშინვე 150-ე შეაგდო

მეორე გოლის გაშვება და ათკაციანი „გორდას" დაფაცურება ერთი იყო.

ჭანტურია უხეიროდ გამოვიდა და საჯარიმოს ხაზის წინ ჩაერთო სოხაძისა და ხვადაგიანის ორთაბრძოლაში — ბურთი ხელით უკუაგდო, რომელსაც არმაზ ჯელაძემ მოუქნია ფეხი, მაგრამ მიზანს ააცდინა. თუმცა მესხმა მაინც დანიშნა ჯარიმა, რომელიც იმავ ჯელაძემ კედელსშემოვლებული მოჭრილი ცაციით გოლად აქცია.

„ტორპედოს" მიერ თავიდანვე შეთავაზებულ მაღალ ტემპს „გორდაც" აჰყვა და თვალსასეირო ბურთაობაც გაჩაღდა, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ბედიაშვილმა ორჯერ იხსნა „გორდას" კარი — ჯერ ახლოდან დიდავას აუღო, მერე თანაგუნდელ პაპაშვილს „ცხრიანიდან" ჩამოულო ბურთი, თორემ ავტოგოლი გამოცხვებოდა.

გეგუჩაძის გუნდი არ გამტყდარა, იბრძოდა, მაგრამ მაინც აკლდა აგრესიულობა და უბრალოდ რომ ვთქვათ, დონე — „ტორპედო" სისწრაფესა და ათლეტიზმშიც ჯაბნიდა მეტოქეს.

იონანიძემ მეორე გოლი თავურით შეაგდო — ბაბუნაშვილმა ჯარიმიდან უზუსტესად უპასა, ხოლო გამეზარდაშვილს ახლოდან პოროშინმა გაატანინა, რომელმაც „გორდას" მარჯვენა ფლანგი დააწიოკა.



მალხაზ ასათიანი ალექსანდრ შტელინს კი შეურიგდა, მაგრამ გუშინ სათადარიგოც არ იყო



გია გეგუჩაძის დებიუტი „ტორპედომ" ჩაუშხამა

# შავი ზღვის მეკობრეები

## სორე სიმპათია მეშკოვი?

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**სოსო გრიშიკაშვილმა** 449 წუთის განმავლობაში საკუთარი კარი მშრალად შეინახა, ზედიზედ მეხუთე მატჩის უგოლოდ ჩავლას კი სულ რაღაც წუთი დააკლდა. ჯანი კარნევალიმ 37-ე წუთზე ქოქიაშვილი შეუშვა მოედანზე და „ვიტ ჯორჯიამ" სწორედ მისი გოლის წყალობით გამოგლიჯა მეტოქეს სამი ქულა.

მსაჯის წამატებული ორი წუთი ახალდაწყებული იყო, კოლხთა საჯარიმოს წინა ხაზთან ჯარიმა რომ დაინიშნა. ვიტელთა სათადარიგო სკამიდან ვიღაცამ ქოქი, ქოქიო დაიყვირა და ბურთთან სწორედ ქოქიაშვილი მივიდა. მან დაბალი დარტყმა არჩია და მიზანსაც მიაღწია. შეცდა გრიშიკაშვილი და აშკარად ასაღები ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა.

არადა, ამ მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა. ოთხი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე დარჩენილი კოლხები სულ ცოტა ქულას კი იმსახურებდნენ, მაგრამ ჩინებულად მოთამაშე კარნევალის სამწყსოს იღბალიც წაეხმარა სალიდერო ამბიციების გასამყარებლად.

მატჩი საკმაოდ ფრთხილად დაიწყო და მთლიანობაში ასეც გაგრძელდა. საგოლე მომენტებით მწირი განსაკუთრებით პირველი ნახევარი საათი გამოდგა, ხეირიანი შეტევა კაცს თვალით არ უნახავს.

ფანჩულიძემ სტუმართა შეტევა ჩაშალა და გრძელი პასით მარჯვენა ფლანგზე გონჩაროვი მოძებნა. ამან კი მყისვე მიიღო ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება და საჯარიმოში ჩაწოდებას კარში დარტყმა ამჯობინა. მერლანი ამას არ ელოდა, მაგრამ მას მშველელად ხარიხა მოევლინა.

იქვე კუთხურიდან ჩაწოდებულს წიტაიშვილმა თავი კი დაუხვედრა, მაგრამ მერლანს ბურთის ხელში დაჭერა არ გასჭირვებია.

ვეტერინართა პასუხი უმწვავესი აღმოჩნდა. კოლხთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა მუჯირმა და თავით სცადა გატანა. ივარგა ქობულაძემ და ზედ ცარიელი კარის ხაზიდან შეძლო ბურთის გამოტანა.

პირველ ტაიმში მეტი ღირებული არაფერი მომხდარა. აი, თამაშის განახლება უმალ სახიფათო მომენტით აღინიშნა. კრასოვსკიმ საკმაოდ მახვილგონივრული დარტყმით შორიდან სცადა გატანა. მისი გასროლილი უხადო იყო, ისევე როგორც მერლანის ნახტომი, ვიტელთა მეკარემ მართლაც ჩინებულად მოიგერია ურთულესი ბურთი.

ძვირად დაუჯდა კრასოვსკის ეს გამოხტომა. დარტყმისას კუნთი დაეჭიმა და შესაცვლელიც შეიქნა. კოლხთა ლაზარეთი კიდევ ერთი კაცით შეივსო.

„კოლხეთი" გაცილებით აგრესიულად ათამაშდა, ოღონდ ეგ არის, მათ შეტევებს ბოლო ფაზაში სიმწვავე აკლდა და მერლანის კართან რიცხვმრავალი კუთხურების გარდა ბევრი არაფერი შექმნილა.

ამასობაში სტუმრები კარს უნარიანად იცავდნენ და ერთხელ უაღრესად ხელსაყრელი შანსიც შეიქმნეს გასატანად. კოლხთა იერიში ერთ-ერთმა ვიტელმა შეაჩერა, რომლის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი ცენტრალურ ხაზთან მყოფ მელქაძეს მიუგორდა. ლევანმა სიჩქარე აკრიფა და მეურვეებსაც დაუსხლტა. მან ბურთიანად 40 მეტრი გაირბინა და გრიშიკაშვილის პირისპირაც აღმოჩნდა. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ვიტელ მოიერიშეს დარტყმა აშკარად არ გამოუვიდა და ბურთიც გვარიანად ასცდა კოლხთა კარის მარჯვენა ძელს.

ბოლო წუთები კვლავ „კოლხეთის" აქტიურობით აღინიშნა, მაგრამ ფაქტია, რომ ფილიას ბიჭების მცდელობას ნაყოფი არ გამოუღია. უფრო მეტიც, „ვიტ ჯორჯიამ" თავი აუღელვებლად დაიცვა და მატჩის ბოლოს გამარჯვების გოლიც გაჩარხა.

იშტაზე მოსული ვეტერინარები წლეულს მეორედ ეწვივნენ შავი ზღვის სანაპიროს, პირველად ბათუმში მოიგეს და ახლა ფოთიდანაც სამი ქულით ხელდამშვენებულნი წავიდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ ორივე შეხვედრა ერთნაირი შედეგით დასრულდა.

მარცხით განაწყენებულმა კოლხებმა ნამატჩევს ჯოხი თბილისელ მსაჯებზე გადატეხეს. მათი აზრით, მეშკოვმა და კომპანიამ მატჩი „ზედმეტი" ობიექტურობით განსაჯეს და წესად ქცეული მასპინძელთა მიმართ სიმპათია ერთხელაც არ გამოუვლენიათ.

ფოთი. 15 ოქტომბერი. 16 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ქოქიაშვილი (90)

**კოლხეთი:** გრიშიკაშვილი, მ. ქობულაძე, ნარსია, ქუჩიძე, გაბიდაური, ფანჩულიძე, ი. გვასალია, კრასოვსკი (ბაჩილავა 49), კვერნაძე, წიტაიშვილი, გონჩაროვი
სათადარიგონი: ჩემია, ყურაშვილი, ბალათურია, ხაჟომია, მ. ფილია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ლ. მურუზაშვილი, ინწკირველი (კვახაძე 63), მუჯირი, ლ. ნოზაძე, გველესიანი (ქოქიაშვილი 37), დოლმენაშვილი, დ. დოლიძე, ციციანი (თედორაძე 83), ადამია, მელქაძე
სათადარიგონი: მუჯირიშვილი, ბოლქვაძე, ნუცუბიძე, ე. მურუზაშვილი
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** ციციანი (62)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მჭედლიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდენიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

ჯარიმა: 17-21; კუთხური: 10-3; კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 5-2; თამაშგარე: 0-5

# ახალი ეტაპი უახალაიოდ

## ალექსიძე დინამოს პირობებზე ფიქრობს

**კახა შალამბერიძე**

„დინამო" — „დილას" მატჩში გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი ნაღდად არ იყო. მასპინძლებმაც იოლად სძლიეს მეტოქეს და როგორც ნამატჩევს ხორვატმა ივო შუშაკმა ბრძანა, კიდევ ერთი ბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ.

თბილისელები საკმაოდ მსუყე დანაკლისით დაუხვდნენ სტუმრებს. ბრაზილიელი კარლოს და როჩა საზარდულმა შააწუხა და მატჩსაც ოდენ ტრიბუნიდან ადევნა თვალი. უფრო რთულადაა ლადო ახალაიას საქმე. ნიჭიერმა დინამოელმა საქართველო — რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში მენისკი დაიზიანა და... დღე-დღეზე ის ოპერაციას გაიკეთებს. მოგეხსენებათ, მენისკი არცთუ იოლი ტრავმაა და ახალაიაც სულ მცირე, თვენახევარი ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

მათ გარდა „დინამოს" წინა ტურში „ბათუმთან" გაძევებული არჩილ სახვაძე დააკლდა დისკვალიფიკაციის გამო, დავით გვარამაძის ამბავი კი ყველას მოგეხსენებათ — გუშინ დათოს მამის დაკრძალვა იყო...

ამის მიუხედავად, გორის „დილას" შანსები ოდნავადაც არ გაზრდილა. ივო შუშაკმა შემცვლელები იოლად იპოვა და მორიგი სამი ქულაც შემატა აქტივს. ახალწვეულთაგან დავით კვირკველიას გამოვარჩევთ, რომელმაც პირველად ითამაშა „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში. ასევე შედეგიანად გაისარჯა ახალგაზრდა ირაკლი სამხარაძე...

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. დინამოელებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს მეტოქის კარს, ორი გოლიც სწრაფად გამოადნეს და მერე დაწყნარდნენ.

მე-8 წუთზე გიორგი აშხაბაძემ ცოლისძმა ვიტალი დარასელიას იდეალური პასი გაუჭრა და „დილას" კარის ბადეც შეირხა.

რამდენიმე წუთში კი უკვე ალეკო გოგობერიშვილმა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე კვირკველია, რომლის ყუმბარისებურმა გასროლილმაც ანგარიში გაარა.

„დინამოც" დაცხრა. გორელებს კი შეტევის თავი არ ჰქონდათ. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებს პირველ ტაიმში მეტოქის კარში არც დაურტყამთ ბურთი.

არადა, ეს მატჩი თბილისელთათვის ამ სეზონში ჩატარებულ საუკეთესო შეხვედრათა შორის ნაღდად ვერ მოხვდებოდა. უბრალოდ, საკმარისი იყო მასპინძლებს ტემპი მოემატებინათ, „დილას" კართან სახიფათო მომენტები უმალ იქმნებოდა, მაგრამ პირველ ნახევარში მეტი გოლი ვერ ვნახეთ.

შესვენების შემდეგ მოედანზე მიქაძის ნაცვლად შესულმა ირაკლი სამხარაძემ გაიელვა. მანამდე კი „დინამოს" დაცვის გამოცდა ჩაიფიქრეს სტუმრებმა და რამდენიმე წუთი თბილისელთა ნახევარზეც გაატარეს. ამგვარ შეტევებში გართული გორელების „წამალი" კი სწორედ ირაკლი სამხარაძეს სცოდნია. მან ჯერ ვიტალი დარასელიას დახმარებით ახლო კუთხეში გაუტანა სოლოლაშვილს, მერე კი მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა, ნახევარი მოედანი ბურთიანად გადასერა და ტაბლოზეც 4:0 აანთო.

ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმა ბოლოს ისევ სცადეს გაფაფხურება, თუმც ეს იყო და ეს. გორელებმა თავს ზემოთ ახტომა ვერ შეძლეს. ალალად თუ ვიტყვით, „დინამოსთან" მათ ამას ვერც ვერავინ მოსთხოვდა.

***ვლადიმერ ხაჩიძე, „დილას" მწვრთნელი:***

— ცხადია, „დინამო" კლასით უფრო მაღლა დგას. ეს დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ბიჭებმაც მარტივი შეცდომები დაუშვეს და ეს მეტოქემ არ გვაპატია. პირველ ტაიმში ერთი თავდამსხმელით ვითამაშეთ. შეტევაზე გადასვლას მეორე ნახევარში ვგეგმავდით, მაგრამ მერე უკვე გვიანი აღმოჩნდა. დაცვაში ის ლაფსუსები რომ არ არ მოგვსვლოდა, თამაში სულ სხვა ხასიათს მიიღებდა.

***ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:***

— უეფას თასზე „ლიბერეცთან" წაგების მერე ეროვნულ ჩემპიონატში პირველად ვითამაშეთ. ამას სანაკრებო მატჩიც დაუმატეთ, სადაც ხუთი დინამოელი მონაწილეობდა. ყოველივეს გათვალისწინებით, მინდა ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ. „დილასთან" მოგებით ჩვენ ახალი ეტაპი დავიწყეთ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო მატჩებში უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ მიზანი ჩემპიონობაა და ამისთვის ყველაფერი უნდა გავილოთ. დღევანდელი მოგებისთვის ბიჭებს მადლობას ვუხდი. მათ ბოლომდე იბრძოლეს.

კარლოსის ტრავმა სერიოზული არაა. მან გუნდთან უკვე ივარჯიშა და, იმედია, მომავალ ტურში ითამაშებს. ლადო ახალაიას ამბავი კი ძალიან მეწყინა. სამწუხაროა, რომ ის დიდი ხნით ვერ დაგვეხმარება.

მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რატი ალექსიძესთან. ჯერჯერობით შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ დიდი შანსია, რატი შემოგვიერთდეს. მთავარია, პირობებზე მოვილაპარაკოთ.

ახლა ძალიან დატვირთული კალენდარი გვაქვს — 25 დღეში 7 თამაში გვიწევს, რაც ცხადია, არასასურველია, თუმც ბიჭები მზად არიან ამისთვის. მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ უკან არ დავიხევთ.

თბილისი. 15 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 300 (ტევადობა 70 000)

### დინამო 4:0 დილა

1:0 დარასელია (8), 2:0 კვირკველია (22), 3:0, 4:0 სამხარაძე (69, 78)

**დინამო:** ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, აშხულაშვილი, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია (შ. ბობოხიძე 80), აშხაბაძე (ხიზანეიშვილი 77), გ. ვ. მიქაძე (ი. სამხარაძე 46)
სათადარიგონი: თარხნიშვილი, მამჩაგა, მაზიაშვილი, ცხადაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

**დილა:** სოლოლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (სულთანიშვილი 61), ლომიძე, დავითნიძე, საყვარელიძე (ჯობაძე 46), ფეხუაშვილი, სომხიშვილი, რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი, ძოძუაშვილი, ხორგუაშვილი (ა. ხმალაძე 63)
სათადარიგო: თ. ილურიძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ქაათურა); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფფ-ის ინსპექტორი: შ. ქელიძე

ჯარიმა: 10-11; კუთხური: 6-6; კარისკენ დარტყმა: 8-3; დარტყმა: 10-4; თამაშგარე: 5-2





ვიტალი დარასელიას და დინამოელთა გარჯით ივო შუშაკი კმაყოფილი დარჩა

# ლაღად, მაგრამ უალოდ

ბოლნისი. 15 ოქტომბერი. 16 საათი. თემურ სტეფანია. 200 (ტევადობა 3 000)

### სიონი 4:1 მერანი

1:0 გოდერძიშვილი (18), 2:0, 3:0 შავგულიძე (30, 63), 4:0 გოდერძიშვილი (68), 4:1 კოშკაძე (83)

**სიონი:** ვოლკოვი, ზ. ცქიფურიშვილი, ხიდამონიძე, ირემაშვილი, გ. ჩხაიძე, ბაქრაძე, გაბისკირია, შავგულიძე, დოუშვილი (ხუჭუა 81), დ. გოდერძიშვილი (კრავეიშვილი 75), ისიანი (მოსეშვილი 75)
სათადარიგონი: ბათიაშვილი, გოროგი ქორიძე, გოგიტიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

**მერანი:** ნაჭყებია, ადუაშვილი, გუჯაბიძე, ჩილვინაძე, გ. ილურიძე (თუთარაშვილი 24), მესხი, კოშკაძე, ი. შენგელია (ბარიძე 80), ქინქარაული, გ. შ. რევაზიშვილი, დევიძე (ბ. ნოზაძე 70)
სათადარიგონი: გ. გაბელია, ქადაგიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: თუთარაშვილი (67), ჩხაიძე (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; შ. ელიაშვილი, ლ. სილაგაძე (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 15-22; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 13-6; თამაშგარე: 1-5

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**გუშინ** ქომაგმა უგანა ბოლნისურ სარბიელს. ძნელი გასახსენებელია, როდის დაესწრო ორასამდე მაყურებელი „სიონის" საშინაო თამაშს. აღარ ისმოდა აღას ომახიანი შეძახილი, მაგრამ მასპინძლები 15 ოქტომბერს ერთგული გულშემატკივრების დახმარებას არ საჭიროებდნენ. „სიონი" თავისუფლად და ძალების დაუძაბავად უსწორდებოდა „მერანს".

საკმაოდ ციოდა ბოლნისში, მაგრამ მოედანი დუღდა. განსაკუთრებით სტუმართა კართან ცხელოდა. ავჭალელთა დაცვას ამდენი შეცდომა ალბათ განვლილ ტურებში ერთად არ დაუშვია.

თამაშის დასაწყისი თითქოს ცუდს არაფერს უქადდა „მერანს". ბოლნისელები წინა ტურში „ლოკომოტივის" დამჩოქებელ გუნდთან სიფრთხილეს იჩენდნენ, უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ავჭალელებს სახიშიც არაფერი ჰქონდათ.

ასე თამაშ-თამაშ გადიოდა დრო და ყველა რომ ფიქრობდა, სადებიუტო მღელვარების შემდეგ „მერანიც" გამოიჩენს შეტევაში ფხასო, მასპინძლები დაწინაურდნენ.

„სიონის" ფლანგური შეტევა ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებით დასრულდა. ნაჭყებიამ გამოსვლაზე თამაში გადაწყვიტა და საწადელსაც აისრულებდა, მაგრამ მეკარემ და მცველმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. სტუმართა უკანახაზელმა ბურთს თავი აჰკრა და ჰაერში აგდო. მისკენ სამი მერანელი და ბოლნისელთა ტანმორჩილი ფორვარდი გოდერძიშვილი დაიძრნენ. სტუმრებმა ერთმანეთის იმედით ბრძოლა შეწყვიტეს, გოდერძიშვილი კი შეიმართა და თავით გაიტანა.

ეს იყო და ავჭალელებს მუდამ თავდაუზოგავად მებრძოლი მცველი ილურიძე დაუშავდათ. ამან „მერანის" დაცვაში ნაპრალები კიდევ უფრო გააღრმავა და მალე მეორედაც გაიხარეს მასპინძლებმა. სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. გაბისკირიამ შავგულიძეს დაუგორა და ლევანმაც ძლიერად გაისროლა. ბურთი საჯარიმოში ადუაშვილს ფეხზე მოხვდა, მიმართულება იცვალა და მარცხენა დაბალ კუთხეში შევარდა.

სველ, დამძიმებულ მოედანზე „მერანს" მოძრაობა უჭირდა. სწორედ აქ იჩინა თავი ავჭალელთა არასრულფასოვანმა მოსამზადებელმა პირობებმა. „სიონი" ყველაფერს წამით ადრე ასწრებდა და თამაშიც უპრობლემოდ მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

მეორე ტაიმში მასპინძლეთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. „სიონს" მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდა.

...ისევ ჯარიმა სტუმართა კარის სიახლოვეს. გაბისკირიამ ისევ შავგულიძეს დაუგორა ბურთი. ამანაც ადრინდელივით ძლიერად მოიქნია, ბურთი ისევ მცველს მოხვდა და კარში შევარდა.

„სიონმა" გოლს გაციება აღარ აცალა, მორიგი ფლანგური იერიშის შემდეგ პენალტის ნიშნულის სიახლოვეს გოდერძიშვილმა მოიხელთა ბურთი, მას ხელს არავინ უშლიდა და ბოლნისელმაც ერთი შეხებით შორეულ, მაღალ კუთხეში გაუტანა ნაჭყებიას.

ამის შემდეგ მასპინძლები მოეშვნენ, ავჭალელებმაც შეძლეს, პრესტიჟისა გაეტანათ. ოცდახუთიოდე მეტრიდან კოშკაძემ უზადოდ შესრულა საჯარიმო დარტყმა და ვოლკოვმაც თვალიღა გააყოლა ახლო ცხრიანისკენ მფრინავ ბურთს.

მასპინძლები მხიარულად მიეშურებოდნენ გასახდელისკენ, თავჩაქინდრული სტუმრები კი აღიარებდნენ, თამაში როგორ არ წაგვიგია, მაგრამ ასე ცუდად მეთოთხმეტე ეროვნულში არ გვითამაშიაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | ·10 | 9 | 1 | 0 | 23:1 | 28 |
| ტორპედო | 11 | 8 | 1 | 2 | 23:7 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 18:5 | 25 |
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:5 | 19 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| სიონი | 11 | 5 | 1 | 5 | 14:16 | 16 |
| მეტალურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 7:16 | 13 |
| მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | 11 |
| მილანი | 11 | 2 | 3 | 6 | 5:17 | 9 |
| დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 6:17 | 8 |
| ბათუმი | 10 | 0 | 5 | 5 | 4:10 | 5 |
| გორდა | 11 | 1 | 0 | 10 | 4:22 | 3 |

*პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩამოეჭრათ 03 ნაგება*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 8 - იონანიძე | ტორპედო |
| 6 - გოდერძიშვილი | სიონი |
| 5 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| დარასელია | დინამო |
| 4 - ზირაქიშვილი | ტორპედო |
| ფირცხალაიშვილი | მერანი |
| პოროშინი | ტორპედო |
| კოშკაძე | მერანი |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს 14 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

## 7 ტური

**ცხინვალი 2:1 გურია**

**სამტრედია 2:1 ჭაბუკთა ნაკრები**

**სამგურალი 3:1 თსუ**

**ივერია 0:0 ლოკო**

**ხობი 2:4 ლაზიკა**

**ლოკომოტივი 2 3:0 ალაზანი**

**დინამო 2 1:0 მერცხალი**

**მცხეთა 1:0 ქობულეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 7 | 5 | 2 | 0 | 16:8 | 17 |
| მერცხალი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 |
| ივერია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| მცხეთა | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| ცხინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| თსუ | 7 | 4 | 0 | 3 | 7:7 | 12 |
| გურია | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | 10 |
| სამგურალი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| სამტრედია | 7 | 3 | 0 | 4 | 7:9 | 9 |
| ქობულეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 4:6 | 9 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| დინამო 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 6 | 2 | 0 | 4 | 12:11 | 6 |
| ლოკო | 7 | 1 | 2 | 4 | 4:9 | 5 |
| ხობი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:14 | 2 |
| ალაზანი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:18 | 2 |

# ოდაში ოცი ცხრამეტწლამდელია

**22 ოქტომბერს** თბილისი ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს რომ უმასპინძლებს, ადრე გაუწყეთ. მატჩები „ეროვნულსა“ და „ლოკომოტივზე“ ჩატარდება. ფინალური ეტაპის საგზურისთვის კი საქართველოს გარდა ბელგია, უკრაინა და ფარერები იბრძოლებენ.

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების თავკაცმა ბიჭები ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე გადაიყვანა. ქართველი ჭაბუკები სასტუმრო „ოდაში“ დაბინავდნენ და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

ოთარ კორღალიძემ ჯერჯერობით სრულ შემადგენლობას ვერ მოუყარა თავი. ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე 18 ოქტომბერს შეუერთდება გუნდს, შეკრებაზე ჯერ არ ჩამოსულა ასევე უკრაინაში, „ვოლინში“ მოთამაშე ბესარაშვილი, ხოლო მურთაზ ბურანაძე და ლაშა ჭელიძე ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის შემდეგ ეწვევიან „ოდას“.

ოთარ კორღალიძეს ამხანაგური მატჩიც დაუგეგმავს და ზეგ, ქართველი ცხრამეტწლამდელები რეგიონული ლიგის ლიდერ „მაუდს“ გაეჯიბრებიან.

აქვე ოთარ კორღალიძის 20 რჩეულის ვინაობას გაგაცნობთ: **თორთლაძე, ლაზარია, ლ. ჭელიძე, ა. კალაძე, იმედაშვილი, კაშია, ელიავა, წილოსანი, ექონაა, ფირცხალავა, მჭედლიძე, დარსანია, მ. ბურნაძე, ს. იაშვილი, მძინარიშვილი, ი. მოდებაძე, ბესარაშვილი, გრიგორიევი, ჭილლაძე, კაჭარავა.**

**ქახა შალამბერიძე**



ოთარ კორღალიძემ შეკრება დაიწყო


## 24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

**დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური**

**შპს «დარაკა»**

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს!
კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი



ვალერი გაზაევი და რუსეთის ნაკრები თბილისში კიდევ ჩამოსვლას ერიდებიან

### რუსეთი – ალბანეთი

# არწივებს სტალინთან და ორჯონიკიძესთან შეასახლეს

**ვოლგოგრადში** ალბანეთის ნაკრებს ოთხი საათი ელოდნენ. ჯერ დღის სამ საათზე ზვერავდნენ ცას იქაურები, მერე „როტორის“ ტექნიკურმა დირექტორმა თქვა, ხუთის ნახევარზე ჩამოფრინდებიანო. ხუთმა საათმაც ჩამოჰკრა, ექვსმაც და, როგორც იქნა, შვიდის ნახევარზე „არწივებით“ სავსე თვითმფრინავი ვოლგოგრადის აეროპორტში დაეშვა. არწივები იმიტომ, რომ ალბანელები თავიანთ ქვეყანას „არწივების ქვეყანას“ უწოდებენ.

ისინი სასტუმრო „ვოლგოგრადში“ დაბინავდნენ და ვახშმად სპაგეტი ყველით მოითხოვეს. როგორც ჩანს, მწვრთნელის შეცვლამ ალბანელ ფეხბურთელთა მენიუც შეცვალა. მათი მთავარი მწვრთნელი იტალიელი ჯუზეპე დოსენა გახლავთ, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელსაც მუნდიალზე წუთიც არ უთამაშია. ჯუზეპე დოსენას სამი თანაშემწეც მისი თანამემამულეები არიან და რაღა გასაკვირია, რომ ალბანელთა სუფრაზე იტალიური კერძები სჭარბობს.

სხვათა შორის, სასტუმრო „ვოლგოგრადი“ მე-19 საუკუნის ბოლოს უკვე არსებობდა, ხოლო მეოცის დასაწყისში, ზუსტად კი 1918-ში, იქ იოსებ სტალინს და სერგო ორჯონიკიძეს ერთად უცხოვრიათ და უმუშავიათ.

ჯუზეპე დოსენამ რუს ჟურნალისტებთან საუბარში ბრძანა, რომ ალბანელებს 5:0 აძლევთ ხელს, რაღა თქმა უნდა, მათ სასარგებლოდ. იტალიელმა თან დაამატა: „ცხადია, ვხუმრობ, რუსეთის ნაკრები ჩვენზე ბევრად ძლიერია, მაგრამ შევეცდებით, ვითამაშოთ ის, რაც ვიცით“.

ვალერი გაზაევმა ინტერვიუში განაცხადა: „თბილისში ნათამაშები ერთი ტაიმით უკმაყოფილო არ ვარ. პირველი თხუთმეტი წუთი გაგვიჭირდა, მაგრამ მერე ინიციატივას ჩვენ ვფლობდით. ერთ ტაიმს თამაშს მაინც ვერ დავარქმევ. მთავარი ისაა, რომ ახლა შინ ვიმყოფებით და მომავალ მატჩზე ვფიქრობთ. რაც შეეხება გადათამაშებას, ამ საკითხზე მე და ვიაჩესლავ კოლოსკოვი შევთანხმდებით. ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავთ“.

რუსთა ნაკრები „როტორის“ ბაზაზეა დაბანაკებული, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოსამზადებლად. ადგილობრივ სტადიონზე ყველაზე მეტი ყურადღება, ალბათ მიხვდით, რასაც დაეთმო: განათებას. თბილისური ამბები ვოლგოგრადშიც რომ არ განმეორდეს, საამისოდ იქაურებმა „სპეცელექტრორაზმიც“ შექმნეს, რომელსაც მხოლოდ სტადიონის გაჩირაღდნება ევალება და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ვოლგოგრადელებისთვის ნაკრების გარდა მთავარი კიდევ ისაა, რომ როტორელი ალდონინი გაზაევის გუნდის წევრია. ითამაშებს თუ არა იგი დღეს, მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ ერთი ნაღდია — დღეს „როტორის“ სტადიონზე ძალიან ბევრი, რამდენიმე ათასი ალდონინი იქნება — მისი სახე მატჩზე დასასწრებ ბილეთებზეა გამოსახული.

დაბოლოს, მავანი რუსი ჟურნალისტის აზრით, ვიაჩესლავ კოლოსკოვი გადათამაშებას თბილისში იმიტომ დათანხმდა, რომ შემდეგ იქ, სადაც საჭიროა, საჭირო ხმები მიიღოს არჩევნებისას. ვისი ხმა და სად, ეს ალბათ ძნელი გამოსაცნობი არაა, დასძენს ჟურნალისტი.

საერთოდ კი ვალერი გაზაევი, მისი ფეხბურთელებიც და მრავალნი სხვანი მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვას ითხოვენ. მიზეზი მარტივია — ქართველმა სამართალდამცავებმა ვერ უზრუნველყვეს სტუმარ ფეხბურთელთა უსაფრთხოება, რომელსაც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი მეორისას ჰპირდებოდა. მათ ჩვენი გარანტიების არ სჯერათ, მაგრამ აბა, რას ელოდნენ, ვარდ-ყვავილებით და ხაშ-ხინკლით დახვედრას?

**ვაჟა ხუციშვილი**

*სავარაუდო შემადგენლობები*

რუსეთი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სმერტინი, სემაკი, იანოვსკი, ონოპკო, გუსევი, ლოსკოვი, ბესჩასტნიხი, პიმენოვი

ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, ჩიპი, ჯუმბა, ფააკი, ჰასი, მურატი, ბუში, დურო, ფ. ვატა, ტ[illegible]ე

მსაჯი: ლეიფ სუნდელი ([illegible]ეთი)

# ვინ დაიცავს ირლანდიას?

### ირლანდია – შვეიცარია

*სავარაუდო შემადგენლობები*

ირლანდია: გივენი, ოში, კანინგემი, ბრინი, ჰარტი, კელი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, კინი, დაფი

შვეიცარია: შტილი, მანინი, მიულერი, მ. იაკინი, ჰაასი, ვიკი, ფოგელი, კაბანასი, ჰ. იაკინი, შაპუიზა, ფრეი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

**შვეიცარიასთან** მოახლოებულ მატჩამდე კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა ირლანდიის ნაკრებმა. მთავარმა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ ვარჯიშზე დაშავებულ მცველ ენდი ობრაიენს ბაზის კარი გაუღო და დალონებულმა შინ გაისტუმრა. ინგლისური „ნიუკასლის“ მცველი კოჭმა შეაწუხა და მისი თამაშიც შვეიცარიასთან საბოლოოდ გამოირიცხა. ირლანდიელთა თავკაცის გულისწყრომაც გასაგებია, ახლახან ხომ კიდევ ერთი მცველი, ჯეფ კენაც გამოაკლდა ტრავმის გამო სამწვეროვან „სამყურებს“. კენაც ფეხს იტკივებს.

მიკ მაკარტიმ დაშავებულთა სავარაუდო შემცვლელები უკვე გამოაცხადა. გეტყვით, რომ რუსეთთან დამარცხებული ირლანდიელები შვეიცარიასთან მატჩში მხოლოდ მოგებას გეგმავენ და სხვა შედეგის გაგონებაც არ უნდათ. ახლა „სამყურები“ ქართველთა დარად უქულოდ არიან მეათე შესარჩევ ჯგუფში, თუმცა ჩვენგან განსხვავებით, ჯგუფიდან გასვლაზე რეალურად ფიქრობენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

**ქახა შალამბერიძე**



ენდი ობრაიენი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი



ფრანგთა დაცვის ბურჯსა და კაპიტან მარსელ დესაის მალტაში უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა

## მამლის ყივილამდე ტაშ-ფანდური ადრეა

### I ჯგუფი

**მალტა — საფრანგეთი**

**ფრანგები** მალტაში უკეთესი რომ არ შეიძლება ისეთი განწყობით ჩავიდნენ, ამის საბაბს მსოფლიოს ყოფილ და ევროპის მოქმედ ჩემპიონებს უქმეებზე პირწმინდად მოგებული მატჩი აძლევთ. რა გინდა უკეთესი, ამ ორსამ დღეში ფრანგულ პრესაში რომ წაიკითხავდით. „ხელახლად დაბადება", „დიდი გუნდის დიდი დაბრუნება" — სულ ასეთი სათაურები ეწერა იქაურ გაზეთებში.

ხალხი და მედია ერთ აზრზე დგას და ყველა ერთად საქებარ სიტყვებს არ იშურებს მწვრთნელ ჟაკ სანტინის მისამართით. სხვა ყველა სიკეთესთან ერთად თავკაცს ნაკრების ორ აღმოჩენას, სტივ მარლეს და უილიამ გალასსაც უწონებენ. სანტინი შესანიშნავად იყენებს ერთი კლუბიდან ნაკრებში ორი ფეხბურთელის წყვილად აყვანის სტრატეგიას.

მაგალითისთვის: დაცვის ცენტრში ზემოთ ნახსენები უილიამ გალასისა და მარსელ დესაის შეწყვილება. აქვე ვთქვათ, რომ კაპიტანი დესაი დღეს თავის ასმეერთე მატჩს ჩაატარებს ნაკრების მაისურით.

ავიღოთ შემდეგი წყვილიც: კლოდ მაკელელე და ზინედინ ზიდანი, რომლებიც ისე არიან შეთამაშებული მადრიდის „რეალში", ქვას-ქვაზე აღარ ტოვებენ და ფრიად საეჭვოა, მალტელი ნახევარმცველებმა გაუწიონ ღირსეულ წინააღმდეგობა მოედნის შუაში.

რომ აღარაფერი ვთქვათ არსენალელებზე, რომლებიც საერთოდაც სამნი არიან ხოლმე ერთდროულად მინდორზე — პატრიკ ვიეირა, ტიერი ანრი და სილვენ ვილტორდი. არ უნდა გამოგვრჩეს არც ბარტეზი-სილვესტრის მანჩესტერული და ასევე სანიოლი-ლიზარაზუს ბავარიული წყვილები.

ამ ყველაფერს დაურთეთ სანტინის მოულოდნელი აღმოჩენები და ნათელზე ნათელი ხდება, რომ საფრანგეთის ნაკრები არამცთუ ამ შესარჩევი ჯგუფის, არამედ საერთოდაც ევროპის ჩემპიონატის მოგების კანდიდატია ორი წლის შემდეგ პორტუგალიაში.

თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ახალი სენეგალის ნაკრები არ გამოვარდეს და ისევ ძირში არ წაჭრას თავი მაგ თქვენს ფრანგულ მამლაყინწას.

სხვათა შორის, ჯგუფის ლიდერობა და ჰარი-ჰარალეს აქედანვე ძახილი განაღდებული რომ არ აქვს, ამას თავად სანტინიც აღიარებს და ვალეტაში ასეთი სიტყვებით ჩავიდა: „გათამაშების ამ ეტაპზე გარკვეული არაფერია. ვითარება შესაძლოა შეიცვალოს."

***საფრანგეთი:*** *ბარტეზი, ტურამი, დესაი, გალასი, სილვესტრი, ვიეირა, მაკელელე, ვილტორდი, ზიდანი, ანრი, მარლე*

*მსაჯი: ალექსანდრიუ ტუდორი (რუმინეთი)*

**ისრაელი — კვიპროსი**

*ისრაელში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო მატჩი 30 აპრილისთვის გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### II ჯგუფი

**ნორვეგია — ბოსნია**

***ნორვეგია:*** *ოლსენი, ბერგდოლმო, ლუნდეკვამი, ბერგი, ბასმა, ივერსენი, კარეუ, ანდერსენი, ბაკე, სოლსკაიერი, რიისე*

*მსაჯი: მიხალ ბენეში (ჩეხეთი)*

**ლუქსემბურგი — რუმინეთი**

***რუმინეთი:*** *ვინტილია, კონტრა, რადოი, პოპესკუ, კოდრია, ჩერნატი, მუნტიანუ, გიოანე, მუტუ, განეა, ნიკულაე*

*მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### IV ჯგუფი

**უნგრეთი — სან მარინო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
Titan ტიტანი
მასტერი
Zeus ზევსი
Billjardai
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


## ცხრანი დაცვაში, ორიც დაცვაში

### III ჯგუფი

**ავსტრია — ჰოლანდია**

**ავსტრიის ნაკრებმა** ჯგუფში აქამდე ჩატარებული ორი თამაშიდან ორივე მოიგო და ახლა მთავარი გამოცდა უნდა ჩააბაროს. მოწინააღმდეგე დასტურ ძლიერია — ჰოლანდიის ეროვნული გუნდი. სტუმართა მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ცალკარას წინასწარმეტყველებს და აცხადებს: „ვვლოდები, რომ მეტოქე ცხრა კაცს დაცვაში ჩააყენებს, დანარჩენი ორიც უკან ირბენს. ავსტრიელები ფრთხილ კმაყოფილნი იქნებიან."

ვერ გეტყვით, რის საფუძველზე გააკეთა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ეს მეტად თამამი განცხადება, როცა სტატისტიკა სრულიად საპირისპიროს მეტყველებს. ავსტრიელების და ჰოლანდიელების 14-მატჩიან დუელში პირველები სჯობნიან. მათ ექვსი მატჩი აქვთ მოგებული მაშინ, როცა ტიტების ქვეყნის ნაკრებმა ოთხჯერ გაიმარჯვა.

რაც შეეხება ავსტრიელთა დაცვას, არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა ჰანს კრაკლმა უკანა ხაზი ახალგაზრდა ფეხბურთელებს მიანდოს.

ჯერაც არავინ იცის, ვეტერანი ანდრეას ჰერცოგი თავის 99-ე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს თუ არა. მწვრთნელი მის საკითხს დღეს გადაწყვეტს.

დანაკლისია ჰოლანდიელთა თავდასხმაში. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი. ასევე ტრავმა აწუხებს „ფეიენოორდის" დამრტყმელ პიერ ვან ჰოიდონკს, თუმცა ავსტრიელებისთვის ალბათ არც როი მაკაის შეჩერება იქნება ადვილი. „დეპორტივოს" ფორვარდი ახლა ჩინებულ ფორმაშია. მასთან ერთად წინა ხაზზე პატრიკ კლუივერტი გამოჩნდება.

***ავსტრია:*** *მანინგერი, დოსპელი, ბაური, ჰიდენი, პოგატეცი, კოვაჩევიჩი, შოპი, ფლოგელი, ვაგნერი, ვალნერი, აკაგიუნდუზი*

***ჰოლანდია:*** *ვან დერ სარი, რიკსენი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, ზეედორფი, ვან ბომელი, დავიდსი, ზენდენი, კლუივერტი, მაკაი*

*მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)*

**ჩეხეთი — ბელარუსი**

***ჩეხეთი:*** *ჩეხი, ყირანეკი, ბოლფი, იუჰფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი, როსიცკი, გალაშეკი, ნედვედი, კოლერი, ბაროში*

***ბელარუსი:*** *ტუმილოვიჩი, შტანიუკი, ლავრიკი, ხრაპკოვსკი, გურენკო, რომაშჩენკო, კულჩი, ხაცკევიჩი, გლებე, კუტუზოვი, კაჩურო*

*მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)*




პატრიკ კლუივერტს ვან ნისტელროის არყოფნაში გატანის შანსი ეზრდება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## სირცხვილია, მაგრამ...
### გერმანიამ წითელ ვიორნსს დაუძახა

### V ჯგუფი

**გერმანია — ფარერები**

**კაცმა** რომ თქვას, სირცხვილიც კი არის, გერმანიის ნაკრებში გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელთა დაბრუნებასა და შესაბამისად, გუნდის გაძლიერებაზე ვილაპარაკოთ, როცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის მეტოქე ფარერის კუნძულების გუნდია. აქ არგუმენტად არ გამოდგება ფარერელთაგან შოტლანდიელთა კინაღამ დამარცხების გახსენება, რაკი ის მატჩი სქოთებმა საკუთარი უთავობით ვერ მოიგეს.




მიხაელ ბალაკმა და რუდი ფიოლერმა საფუძვლიანად თავ[illegible] მოიფხანეს

და მაინც, გერმანიას დაუბრუნდა გრიპმოხდილი გამთამაშებელი მიხაელ ბალაკი და დაშავებული დიტმარ ჰამანი. წინა კვირაში ორივემ გამოტოვა ბოსნიასთან უსახური 1:1-ით დამთავრებული ამხანაგური მატჩი.

ბოსნიასთან მატჩისას წითელი ბარათი მიიღო დორტმუნდელმა კრისტიან ვიორნსმა, თუმცა ბუნდესმწვრთნელის, რუდი ფიოლერის თქმით, ფეხბურთელი დღეს მაინც მოედანზე იქნება, ხოლო დისკვალიფიკაციად 20 ნოემბერს, გელზენკირხენში, ჰოლანდიასთან ამხანაგური მატჩის გამოტოვება ჩაეთვლება.

ტრავმა აქვს დორტმუნდელ მცველ კრისტოფ მეცელდერს, ვისაც ფიოლერი სასტარტო შემადგენლობაში უპირებდა გამწესებას.

***გერმანია:*** *კანი, რემერი, რამელოვი, ვიორნსი, შნაიდერი, იერემისი, ჰამანი, ფრინგსი, ბალაკი, კლოზე, იანკერი*

*მსაჯი: დანი კორენი (ისრაელი)*

**ისლანდია — ლიტვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ისლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი



REUTERS

თავზოტორა სოლ კემპბელმა დევიდ ბექჰემის ვარცხნილობის ნახვა მოინდომა

## ლიხტენშტაინისთვის ვერ მოგიგიათ, ამათ მოუგებთ?!

### VII ჯგუფი

**ინგლისი — მაკედონია**

**ბრატისლავაში** ჩატარებული უმძიმესი მატჩის შემდეგ ინგლისი მორიგ სამ ქულას საკუთარ მოედანზე, მაკედონიასთან გეგმავს.

„მთავარია, სლოვაკეთიდან გამარჯვებულები წამოვედით, ახლა მომავალ მეტოქეზე კონცენტრაცია გვმართებს" — განაცხადა სლოვაკეთთან მატჩის გმირმა მაიკლ ოუენმა. სავარაუდოდ, ლივერპულელს შეტევის ცენტრში თანაგუნდელ ემილ ჰესკის ნაცვლად ლიდსელი ალან სმიტი შეუწყვილდება, თავად ჰესკი კი მარცხნივ ითამაშებს.

ნახევარდაცვის ცენტრში პოლ სქოულზი და სტივენ ჯერარდი იტრიალებენ, მარჯვნივ კი ტრადიციულად დევიდ ბექჰემი. სხვათა შორის, მეორე ტაიმში სვენ გორან ერიკსონმა შესაძლოა მოედანზე საუთჰემპტონელი ბრიჯიც შეუშვას. ეს ალბათ პირველი ნახევრის ანგარიშზე იქნება დამოკიდებული.

დაცვის ცენტრში დაბრუნდება სოლ კემპბელი, რომელმაც ბრატისლავაში ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა.

რაც შეეხება მაკედონიას, ამ გუნდის ბოლო გასვლითი შეხვედრა ლიხტენშტაინში ფრედ, 1:1 დასრულდა. ასე რომ, სტუმართაგან მხოლოდ ყრუ დაცვაა მოსალოდნელი, მით უფრო, რომ მაკედონიელთა მთავარი თავდამსხმელი გიორგი ხრისტოვი დაშავებულია. ამასთანავე შეგახსენებთ, რომ მაკედონიელთა თავკაცმა ნიკოლა ილიევსკიმ ეროვნულ ფედერაციას ნაკრებისადმი მიდგომა დაუწუნა და გუნდიდან წასვლაზე ალაპარაკდა. ერთი სიტყვით, დღევანდელი მატჩი მისთვის ეგებ ბოლოც იყოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

***ინგლისი:*** *სიმენი, ნევილი, კემპბელი, საუთგეიტი, კოული, ბექჰემი, სქოულზი, ჯერარდი, ჰესკი, ოუენი, სმიტი*

*მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)*

**თურქეთი — ლიხტენშტაინი**

***თურქეთი:*** *ომერი, ერგუნი, ალფაი, ბიულენთი, ფათიჰი, თუგაი, ემრე, ოკანი, ბაშთურქი, არიფი, ნიჰათი*

*მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაკედონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### IX ჯგუფი

**უელსი — იტალია**

**დღეს** ჯოვანი ტრაპატონის ღირსების, რეპუტაციის და სამსახურის შენარჩუნების საკითხი უნდა გაირკვეს. ამისთვის კარდიფის „მილენიუმ სთედიუმზე" ზუსტად საათნახევარია განკუთვნილი.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურას" მხცოვანი თავკაცის მუშაობა უარყოფითად ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატისას შეფასდა, თუმცა მაშინ ტრაპატონის ჩავარდნა აპატიეს, რადგან მეოთხედფინალში დამარცხება მაწილობრივ ეკვატორელ არბიტრ ბაირონ მორენოსაც დაბრალდა. ტრაპატონის წინა შაბათს შინ იუგოსლავიასთან ნათამაშევი ფრეც შეუნდეს, თუმცა ვაი ამ შენდობას — იტალიური პრესა დუღს და გადადუღს, იწერება, რომ ტრაპატონი პოსტზე განწირულია, თუ უელსიდან სასურველი შედეგი არ წამოიღო.

და ახლა უელსის ნაკრების მწვრთნელ მარკ ჰიუზს ჰკითხეთ, ძალიან აწუხებს მას ტრაპატონის სამსახურში დარჩენა-არდარჩენა? ცხადია, არა.

უელსის ნაკრებს არსებობის ისტორიაში ერთადერთხელ 1958 წელს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ხოლო ევროპის უძლიერესთა ფორუმზე საერთოდ არ გაჭაჭანებულა. ახლა უელსელებმა ჯგუფის პირველი თამაში მოიგეს და სულაც არ აპირებენ იტალიელების იოლ ლუკმად იქცნენ, მერე რა, რომ სტუმართა მწვრთნელი გაჭირვებაშია და უცილობლად მოგება სჭირდება.

სწორედ ეს ილაპარაკა უელსელთა თავკაცმა: ვიცით იტალიელთა ძალა, მით უმეტეს მაშინ, როცა მწვრთნელის ღირსებისთვის ყველა ფეხბურთელი ღრმაგად მობილიზებულია, მაგრამ ჩვენ ბრძოლას ვაპირებთო.

სხვათა შორის, ნუ დავივიწყებთ იმას, რომ მარკ ჰიუზის ხელში უელსელები ბოლო ერთი წელიწადია, ექვს ჩატარებულ მატჩში არ დამარცხებულან. აქედან ერთხელ გერმანიასაც კი მოუგეს, მართალია, ამხანაგურ შეხვედრაში.

უელსში ჩასული, საუკეთესო ფორმაში მყოფი ალესანდრო დელ პიერო უკვე აეროპორტიდანვე ილერებს მუშტებს და აცხადებს: „ჩვენ ჩამოვედით კარდიფში, რათა იტალიური ფეხბურთის ღირსება დავიცვათ. მწვრთნელს ბოლომდე ვუჭერთ მხარს, სამშობლოსთვის და ტრაპატონისთვის ბრძოლის გამართვას ვაპირებთ."

მატჩისთვის გამალებით ემზადება მანჩესტერელი რაიან გიგზიც, რომლის შეჩერებაც იტალიელ მცველებს, ალბათ, გაუჭირდებათ.

მარკ ჰიუზმა ხალხს მხარდაჭერისკენ მოუწოდა და თითქმის არ იწვევს ეჭვს, რომ „მილენიუმ სთედიუმი" ბოლომდე შეივსება — ესე იგი, 71 ათასი კაცი მოიყრის თავს.

შეკრებილთ მატჩის წინ მოედანზე ჩასვლით მიესალმება და თავისიანებს წარმატებას უსურვებს „იუვენტუსის" ყოფილი თავდამსხმელი ჯონ ჩარლზი, რომელიც უელსის ნაკრებში მაშინ გამოდიოდა, როცა ამ გუნდმა ერთადერთხელ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

***უელსი:*** *ჯოუნსი, დილანი, მელვილი, გაბიდონი, ხპიდი, დევისი, სევიჯი, ჯონსონი, პემბრიჯი, გიგზი, ჰართსონი*

***იტალია:*** *ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, გატუზო, დი ბიაჯო, ამბროზინი, პირლო, დელ პიერო, მონტელა*

*მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)*

**იუგოსლავია — ფინეთი**

**იუგოსლავიაცა** და ფინეთიც დღევანდელ მატჩს საკმაოდ კარგ განწყობაზე ხვდებიან. ფინეთმა აზერბაიჯანი დაიფრინა, იუგოსლავიამ კი სულაც იტალიას გაუგორა ფრე.

დეან სავიჩევიჩი ფინეთთან საშინაო მატჩში თავდასხმის ხაზის გაძლიერებას აპირებს. ალბათ, მატეა კეჟმანს წინა ხაზზე დარკო კოვაჩევიჩი შეუწყვილდება, პრედრაგ მიატოვიჩი კი უკან დაიწევს. მილან დულიაი ტრავმ[illegible]ბული ზორან მირკოვიჩის ნაცვ[illegible], ითამაშებს მარჯვენა ფლანგზე.

ფინელთა გუნდში კვლავაც არ იქნება მიქაელ ფორსელი, მის ადგილას ანტი სუმიალა დაიკავებს, ვინც აზერბაიჯანთან ცუდად არ ითამაშა. დაცვაში დისკვალიფიცირებული ჰანუ ტიჰინენის ნაცვლად ფინელთა მწვრთნელი ანტი მუურინენი ჯენა რეინის ან ტონი კუილასტოს დაყენებას აპირებს.

და კიდევ ერთი, იუგოსლავია ფინეთს 1989 წლის შემდეგ არ შეხვედრია. სულ კი ეს გუნდები ერთმანეთს 8-ჯერ დაპირისპირებიან და ფინეთს ოდენ ერთხელ მოუგია. ბურთების შეფარდებაა 35:8 იუგოსლავიის სასარგებლოდ.

***იუგოსლავია:*** *ჯევრიჩი, ვიდიჩი, მიხაილოვიჩი, კრსტაიჩი, დულიაი, ტრობოკი, ლაზეტიჩი, სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, კეჟმანი, კოვაჩევიჩი*

***ფინეთი:*** *ნიემი, პასანენი, საარინენი, ჰიაპია, რეინი, რიიჰილაჰტი, ნურმელა, ტაინიო, სუმიალა, ლიტმანენი, კოლკა*

*მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |



ალესანდრო დელ პიეროს ამ დარტყმამ ტრაპატონი იუგოსლავიასთან სანახევროდ გადაარჩინა

## რბოლა სამშობლოსთვის და ტრაპატონისთვის

### VI ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია — უკრაინა**

***უკრაინა:*** *რევა, სტაროსტიაკი, ლუჟნი, ტიმოშჩუკი, რადჩენკო, გუსინი, კორმილცევი, კალინიჩენკო, ზუბოვი, ვორობეი, ვორონინი*

*მსაჯი: კოსიმო ბოლონინო (იტალია)*

**საბერძნეთი — სომხეთი**

| 22.30 | 647 | ცუგი-ლოზანა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |

**17 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 654 | ინგოლშტადი-კასელი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 655 | ფრანკფურტი-კიოლნი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 656 | იზერლონი-ნიურნბერგი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 657 | აისბარენი-ჰანოვერი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.30 | 658 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 23.00 | 659 | შვენინგი-მანჰაიმი | 2,8 | 4,2 | 1,75 | 1,67 | 1,07 | 1,23 |

**16 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 707 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 07.00 | 708 | ვანკუვერი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 07.30 | 709 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,25 | 4,0 | 2,2 | 1,44 | 1,11 | 1,41 |

**კალათბურთი. გერმანია**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 776 | ბრაუნშვაიგი-ლუდვიგსბურგი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა. II ტური**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 783 | ეფესი-ბენეტონი | 1,85 | 12,0 | 1,75 |
| 21.00 | 784 | ცსკა-პარტიზანი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 785 | სკიპერი-ალბა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 786 | პო ორტეზი-ციბონა | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| 23.30 | 787 | ოლიმპია-ტაუ | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 788 | ბუდუჩნოსტი-უნიკახა | 2,0 | 12,0 | 1,6 |

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 789 | აეკ-ბარსელონა | 1,85 | 12,0 | 1,75 |
| 23.00 | 790 | მაკაბი-სიენა | 1,45 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 791 | ოლიმპიაკოსი-ულქერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 792 | ვილერბანი-შლიონსკი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 793 | რეალი-კინდერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 794 | ჟალგირისი-პანათინაიკოსი | 2,3 | 12,0 | 1,45 |

**16 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 805 | ასტრონავტი-ზადარი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 23.00 | 806 | შარლერუა-შოლე | 1,6 | 12,0 | 2,0 |

## 1-ლი ტაიმის შედეგი

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2001 | ისლანდია-ლიტვა | 1,8 | 2,4 | 6,0 | 1,02 | 1,38 | 1,71 |
| 23.30 | 2002 | ავსტრია-ჰოლანდია | 4,4 | 2,2 | 2,2 | 1,46 | 1,46 | 1,1 |
| 23.30 | 2003 | ესტონეთი-ბელგია | 4,7 | 2,25 | 2,1 | 1,52 | 1,45 | 1,08 |
| 23.30 | 2004 | ირლანდია-შვეიცარია | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 23.45 | 2005 | უელსი-იტალია | 4,4 | 2,15 | 2,25 | 1,44 | 1,48 | 1,09 |
| 24.00 | 2006 | ჩრდ. ირლანდია-უკრაინა | 4,2 | 2,15 | 2,3 | 1,42 | 1,48 | 1,11 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**16 ოქტომბერი**

| | | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2501 | ისლანდია-ლიტვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2502 | ავსტრია-ჰოლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2503 | ესტონეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2504 | ირლანდია-შვეიცარია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | უელსი-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2506 | ჩრდ. ირლანდია-უკრაინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**16 ოქტომბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2201 | ისლანდია-ლიტვა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2202 | ავსტრია-ჰოლანდია | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2203 | ესტონეთი-ბელგია | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2204 | ირლანდია-შვეიცარია | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2205 | უელსი-იტალია | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2206 | ჩრდ. ირლანდია-უკრაინა | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**16 ოქტომბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2401 | ისლანდია-ლიტვა | 1,45 | 2,7 |
| 23.30 | 2402 | ავსტრია-ჰოლანდია | 2,4 | 1,6 |
| 23.30 | 2403 | ესტონეთი-ბელგია | 2,6 | 1,5 |
| 23.30 | 2404 | ირლანდია-შვეიცარია | 1,5 | 2,6 |
| 23.45 | 2405 | უელსი-იტალია | 2,7 | 1,45 |
| 24.00 | 2406 | ჩრდ. ირლანდია-უკრაინა | 2,5 | 1,55 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

**16 ოქტომბერი**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2301 | ისლანდია-ლიტვა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2302 | ავსტრია-ჰოლანდია | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2303 | ესტონეთი-ბელგია | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2304 | ირლანდია-შვეიცარია | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2305 | უელსი-იტალია | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 2306 | ჩრდ. ირლანდია-უკრაინა | 1,9 | 1,7 |

**16 ოქტომბერი**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 2101 | ისლანდია-ლიტვა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 2102 | ავსტრია-ჰოლანდია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 23.30 | 2103 | ესტონეთი-ბელგია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 5,0 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 23.30 | 2104 | ირლანდია-შვეიცარია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 2105 | უელსი-იტალია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 24.00 | 2106 | ჩრდ.ირლანდია-უკრაინა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[b] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

**ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15**

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი

# დერიუგინის აკადემია სოხუმელების ლექციაზე

**უქმეების** ბურთაობა მთლად ძილისმომგვრელი არ ყოფილა, ერთი მღელვარე შეხვედრა მაინც გამოერია: „აკადემია“ — სსუ-ს დაძაბულობა ბოლო წამამდე გაჰყვა. დავით უსტიაშვილის ნორჩი შეგირდები ახლოს იყვნენ პირველ საუმაღლესლიგო გამარჯვებასთან, მაგრამ დამატებით დროში გადასული მატჩის ბოლოს სოხუმელთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. აკადემიელთა წამყვანებს ცინცაძესა და ლეჟავას ნიკოლოზ დერიუგინის ვაჟიც ნიკა უმცროსიც ამოუდგა გვერდში. ნიკამ, მართალია, მამამისივით ვერ იდერიუგინა ფარქვეშ, მაგრამ მისმა გარჯამ არაერთხელ შეუნარჩუნა შანსი წასაგებად განწირულ „აკადემიას“. სოხუმელები კი ბათუმელ დავით კვაჭაძეს უნდა უმადლოდნენ ჩემპიონატის პირველ გამარჯვებას.

აუტსაიდერთა დაპირისპირებასთან დაძაბულობით ახლოსაც ვერ მივა ფავორიტთა შეხვედრა. დინამოელებს ჯერ კი გაუჭირდათ თსუ-ელებთან, მაგრამ მამუკა აბრამიძის შედეგიანი თამაშის შედეგად ბოლო მეოთხედის შუაწელში მატჩს ინტერესი დაეკარგა. ისე კი ლევან მოსეშვილის გუნდი პირველად წააწყდა მედგარ წინააღმდეგობას ამ ჩემპიონატში. ტრავმამოშუშებულ ლევან ქარაბაკს თამაშის იმტა ბოლომდე რომ მიჰყოლოდა, დინამოელებს დიდი ჯაფა დაადგებოდათ.

დანარჩენ მატჩებში მოსახდენი მოხდა. აღსანიშნავია ბასკოელთა მიერ „მაკაბისთვის“ ჩაგდებული 139 ქულა. „მაკაბის“ მეორე ბათუმური შეხვედრა, ბევრად საინტერესო გამოუვიდა: მასპინძლის ამპლუაში გამოსული „ქუთაისი“ ბევრს ეურჩა თბილისელებს, მაგრამ ვერაფერს გახდა. მატჩის გმირი მაკაბელი ირაკლი ბერიშვილი შეიქნა, რომელმაც იმერლებს 42 ქულა ჩაუგდო. ჯერჯერობით მასვე ეკუთვნის სააჩემპიონატო რეკორდი, „მაკაბიში“ ეულად დარჩენილმა ტყუპისცალმა 6 ოქტომბერს 43 ქულა მოინაგრა „აკადემიასთან“.

**ირაკლი პირტაია**

12 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**დინამო 82:65 აზოტი**
15:13, 24:13, 17:20, 26:19
დინამო: თორთლაძე (25), ჩხეიძე (1), ბეჟანიშვილი (19), მუზე (13), ოგანესიანი; აბრამიძე, ვინსკუნასი (11), ფლენტი (9), მარკოიშვილი, ჯაფარიძე (4), ჩუბინიძე
აზოტი: გაბისონია (5), არწივიძე (11), გოგობერიშვილი (21), ბერუაშვილი (13), მაჭარაძე (12); ლიპარტელიანი, ტყეშელაშვილი (3), ა. კილაძე, ჯიმშელეიშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სსუ 104:101 აკადემია**
ძირითადი დრო 83:83
19:23, 22:21, 22:20, 23:22, 18:15
სსუ: სორდია (19), კანკია (5), კვაჭაძე (20), ბარბაქაძე (26), აბულაძე (12); ჩიტაშვილი (11), ბენდიაშვილი, ბ. ქვილითაია (11), მ. ხოშტარია, ურიდია
აკადემია: ცინცაძე (20), ლეჟავა (27), ბექაური (20), დერიუგინი (28), გვიმრაძე (4); გიორგობიანი (2), გურასპაული, ათანელაშვილი, ზამბახიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

13 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**აზოტი 98:69 სსუ**
11:12, 27:24, 27:13, 33:20
აზოტი: გაბისონია (1), არწივიძე (8), გოგობერიშვილი (21), ბერუაშვილი (21), მაჭარაძე (19); გოგსაძე (2), ლიპარტელიანი (6), დანელიანი (5), ტყეშელაშვილი (1), ა. კილაძე (3), ჯიმშელეიშვილი (11)
სსუ: ჩიტაშვილი (10), სორდია (13), კვაჭაძე (16), ბარბაქაძე (12), აბულაძე (6); კანკია (5), პატარაია (1), ბ. ქვილითაია (6)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა,
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**აკადემია 73:90 სტუ**
16:22, 19:31, 19:14, 19:23
აკადემია: ცინცაძე (19), ლეჟავა (22), ბექაური, გვიმრაძე (2), ჯანეზაშვილი (18); გიორგობიანი (4), გურასპაული, დერიუგინი (8), ათანელაშვილი
სტუ: ტულუში (23), მარხვაშვილი (12), ხეცურიანი, ოთიურიძე (9), მუშკუდიანი (5); ლაფანაშვილი, გაგნიძე (8), ლოსაბერიძე (6), ტუჯანი (19), ახალკაცი (8)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**თსუ 69:83 დინამო**
15:16, 18:21, 22:16, 14:30
თსუ: ა. ბერიშვილი (10), ტურაშვილი (7), ორმოცაძე (17), ვ. კილაძე (5), ქარაბაკი (21); არსიაშვილი, ვეფხვაძე (5), კორძაძე (4)
დინამო: თორთლაძე (9), ნაცვლიშვილი (4), მარკოიშვილი (7), მუზე (5), ვინსკუნასი (12); აბრამიძე (18), ბეჟანიშვილი (13), ფლენტი (6), ჩუბინიძე (7), ჩხეიძე (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

12 ოქტომბერი. ბათუმი

**ბასკო 139:71 მაკაბი**
37:22, 34:23, 32:9, 36:17
მსაჯები: ზურა აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

13 ოქტომბერი. ბათუმი

**ქუთაისი 74:82 მაკაბი**
18:23, 22:11, 15:23, 19:25
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურა აბაშიძე
კომისარი: მურმან ქურიძე


შვილი მამის კვალზე: ნიკა და ნიკოლოზ დერიუგინები



მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. არგენტინა. 28 სექტემბერი — 13 ოქტომბერი


REUTERS

მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიელებმა თასი ქვეყნის პრეზიდენტ ფერნანდო კარდოსოს დააჭერინეს

# ვერცხლის ქვეყანაში ოქრო ბრაზილიაა

ფინალი

**ბრაზილია 3:2 რუსეთი**

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**საფრანგეთი 3:0 იუგოსლავია**

**არგენტინაში** მსოფლიოს საფრენბურთო ჩემპიონატი ისეთივე ლამაზ ფერებში და ქრიამულში დასრულდა, როგორშიც მიმდინარეობდა. ჩემპიონატმა გვარიანად გამოაცოცხლა ბოლო ხანს სპორტის სხვა სახეობათაგან დაჩრდილული ფრენბურთი, ხალისით ამბობენ საფრენბურთო წრეებში. ეკონომიკურად გაპარტახებულმა და ლამის სამოქალაქო ომის უფსკრულის კიდეზე შემდგარმა არგენტინამ შესანიშნავად გაართვა თავი არცთუ მცირემასშტაბიანი ტურნირის ორგანიზებას და ამ მხრივ უკმაყოფილო არავინ გამოუშვა. საკუთარი პრეზიდენტ-მთავრობისა და ერთმანეთის დაჭმის სურვილით ანთებულმა არგენტინელმა ხალხმა საკმაო ინტერესი გამოიჩინა ტურნირის მიმართ და ქვეყნის ექვს ქალაქში ჩავლილმა მატჩებმა მაყურებელი და საყოველთაო ქრიამული არ მოისაკლისა. „ფანტასტიკაა ასეთ ატმოსფეროში თამაში მაშინაც კი, როდესაც არგენტინის ოპონენტი ხარ და მაყურებელი შენს წინააღმდეგაა განწყობილი. მოთამაშეებს არასდროს დაავიწყდებათ ეს ვითარება“ — თქვა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ ბლანმა.

სხვა საქმეა, შედეგით რამდენად კმაყოფილნი წამოვიდნენ გუნდები ვერცხლის ქვეყნიდან. თავად მასპინძლებსაც დაკავებული, მე-6 ადგილი ძნელად დააკმაყოფილებდათ და ვინძლო შურით შესცქეროდნენ მოქიშპე მეზობლის, ბრაზილიის ოქროს. ერთადერთი რამ, რაც არგენტინელებს ანუგეშებთ, ეს მათი ნაკრების ლიდერის მარკოს მილინკოვიჩის პირადი წარმატებაა. სლავური წარმოშობის ლათინოსმაა ტურნირზე ყველა სხვაზე მეტი ბურთი ჩაუგდო მეტოქეს და ჩემპიონატის ბომბარდირობასთან ერთად საუკეთესო მოთამაშის წოდებაც დაისაკუთრა.

ბრაზილიას შესანიშნავი გუნდი ჰყავდა და მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი შეიქნა. ბრაზილიელებმა ფინალში, უდაძაბულეს ბრძოლაში, რუსები დაამარცხეს. ეს იყო ერთი ოცი წლის წინანდელი მატჩის ერთგვარი გამეორება — 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იგივე ქვეყანაში, იგივე ქალაქსა და იგივე დარბაზში იგივე მეტოქეები შეერკინნენ ერთმანეთს ფინალში. ეგაა, მაშინ რუსები საბჭოთა კავშირის დროშით თამაშობდნენ და გულზე „CCCP“ ეწერათ. ამ ორ ფინალს შორის განსხვავება, თან მნიშვნელოვანი, მაინც იყო. მაშინ შეხვედრა საბჭოელებმა მოიგეს და, სხვათა შორის, ეს იყო საბჭოთა კავშირის და შემდეგ მისი მემკვიდრე რუსეთის ბოლო დიდი გამარჯვება. ახლა ზედაძაბულ მატჩში საქმე მეხუთე სეტამდე მივიდა, რომელშიც 13:13 ანგარიშზე ბრაზილიელებმა მეტოქეს ორი ქულა აართვეს და დამსახურებული ოქროს მედლები დაიკიდეს სვეს გულებზე.

მესამე ადგილისთვის მატჩი ფინალთან შეუდარებლად ნაკლებად მღელვარე გამოდგა. საფრანგეთმა მოულოდნელად იოლად, 3:0 დაამარცხა ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი იუგოსლავია და ბრინჯაო ირგუნა.

ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც მსოფლიოს მანამდელი ჩემპიონის, გრანდი იტალიის წაბორძიკება იყო. მსოფლიოს წინა სამი ჩემპიონატის გამარჯვებულები არგენტინას, ცხადია, მხოლოდ მორიგი ოქროს დასაკუთრების ამბიციებით ეწვივნენ, მაგრამ მალევე დაუცდათ ფეხი — ოქროს საბადოსკენ ფიცხი სწრაფვა მეოთხედფინალშივე შეწყვიტეს. საბოლოოდ მათ სანუგეშო პლეიოფში ძლივს, 3:2 დაამარცხეს მასპინძელი არგენტინა და მათთვის სამარცხვინო მეხუთე ადგილს დაყაბულდნენ. აგრეთვე მოულოდნელობა იყო კიდევ ერთი ფავორიტის, კუბის ნაკრების ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენა. საკმაოდ ყოჩაღი ჰოლანდიაც, რომელიც 1988 წლის შემდეგ მინიმუმ მეოთხედფინალში მაინც გადის, ამ ჯერზე ვერ მოხვდა რვა საუკეთესოს შორის.

**კოტე ყოჩშია**


REUTERS

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე, არგენტინელი მარკოს მილინკოვიჩი



# რომელი უფრო შემზარია: გლდანი თუ შამბერი?

გუშინ ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში მოწყობილი წილისყრის შედეგად გაირკვა ევროთასებს შემორჩენილი საქართველოს ერთადერთი წარმომადგენლის — თბილისის „გლდანის“ მეტოქის ვინაობა. ჩვენი ეროვნული პირველობის ბრინჯაოსმედალოსნებს თასების მფლობელთა თასის საწყის ეტაპზე ლუქსემბურგის „ბაშარაჟის“ ძლევის შემდეგ ფრანგულ „შამბერთან“ მოუწევთ გაჯიბრება.

ლიონიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებული პროვინციული შამბერის სახელბურთო კლუბი ძლიერი მოწინააღმდეგეა, შარშან ევროპის ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზა, თუმც საწყისი, ჯგუფური ეტაპი სუსტად ჩაატარა და ბრძოლას გამოეთიშა.

„გლდანი“ და „შამბერი“ ჯერ 10 ნოემბერს თბილისში, ერთი კვირის შემდეგ კი ფრანგთა ტერიტორიაზე უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

# შამპანური ნაარყევს
## მათიოს ორკვირიანი დიმპიტაური

**ლიონის საერთაშორისო ტურნირი**
ხალიჩა. საპრიზო 761 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — **მარატ საფინი** (1, რუსეთი) 7:5, 4:6, 7:6 (7:3); **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — **სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:3); **კრისტიან პლესი** (დანია) — **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) 6:3, 6:1; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 7:5, 6:4

**ნახევარფინალი**
**მათიო** — **პლესი** 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:4; **კუერტენი** — **კლემანი** 6:4, 6:7 (1:7), 6:3

**ფინალი**
**მათიო** — **კუერტენი** 4:6, 6:3, 6:1

ადგილობრივთა 20 წლის ფავორიტისა და მსოფლიოს ოდინდელი მეპირველის, სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენის ფინალურ შეხლას იმ დღეს 7 ათასმა მოსეირემ უცქირა. შეხლამ საათნახევარი გასტანა და ლიონელთა გასახარად გამარჯვება მათიოს ერგო. ეს მისი ზედიზედ მეორე ტიტული გახლდათ — ალბათ, ჯერ არ დაგავიწყდებოდათ, ამისიქითა უქმეებზე ჭაბუკმა გალმა მოსკოვიდან კრემლის თასი რომ გაიყოლა.

ასეთი რამ — მიჯრით ორი ტიტულის მითვლა, წელს მხოლოდ სამ მეჩოგნეს — ლეიტონ ჰიუიტს (სან ხოსე და ინდიან უელსი), კარლოს მოიასა (ბასტადი და უმაგი) და გასტონ გაუდიოს (ბარსელონა და მალიორკა) მოუხერხდათ. საკუთრივ ფრანგთაგან კი ზედიზედ ორ ტურნირზე უკანასკნელად 1991 წელს გი ფორჟემ, საფრანგეთის დევისნაკრების ამჟამინდელმა კაპიტანმა იმარჯვა, რომელიც — სხვათა შორის — იმ დღეს ტრიბუნაზე მოკალათებულიყო.

მათიო: „გუგა ჩოგბურთის ლეგენდაა, ამიტომაც მასთან ჭიდილში გაჩემპიონებას გამორჩეული მულამი აქვს... ორივე — მოსკოვური და აქაური გამარჯვება ტკბილია, მაგრამ შამპანურის გემო არყისას მაინც ბევრად სჯობს... ბავშვობიდან მსოფლიოს პირველმეჩოგნეობაზე ვოცნებობდი. ამ ოცნების განხორციელებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი“.

უკანასკნელი 16 დღის განმავლობაში მათიომ ზედიზედ 13 მატჩის მოგება შეძლო. კეთილ მოგონებებთან ერთად ლიონიდან ის გამარჯვებულისთვის დათქმულ 100 500 დოლარსაც წაიღებს.

რაც შეეხება კარიერის მე-18, ხოლო სეზონის მეორე ტიტულის მაძებარ კუერტენს, ის აშკარად მოღლილი ჩანდა — წინა წრეებში ხომ მას მარატ საფინსა და არნო კლემანთან დაძაბული, გამომფიტავი მატჩების გადატანა მოუხდა.

ნაფინალევს ის სწორედ ამაზე საუბრობდა, თუმცა იქვე დასძენდა, რომ ლიონური გამოსვლით ის მაინც კმაყოფილი დარჩა. „აქ ფინალში არასოდეს მითამაშია. თუკი მომდევნო ტურნირებზეც კარგად გავირჯები, ჩავთვლი, რომ საუკეთესო ჭერქვეშა სეზონი მქონდა“ — დასძენდა მერე.

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 765 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) 7:6 (7:4), 3:6, 6:1; **ირჟი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 6:3, 7:6 (7:2)

**ნახევარფინალი**
**ფედერერი** — **მოია** 6:2, 6:3; **ნოვაკი** — **პაველი** 7:6 (7:2), 7:6 (7:2)

**ფინალი**
**ფედერერი** — **ნოვაკი** 6:4, 6:1, 3:6, 6:4

წლის მესამე, ხოლო კარიერის მეოთხე ტურნირის მოგებამ 21 წლის ნიჭიერი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ჩემპიონთა რბოლის მეათე საფეხურიდან შანხაის მასტერსთასზე „გამსვლელ“ მე-7 საფეხურზე აანაცვლა.

ორივე ვენამდელი ტიტული სტაბილურმა და აუღელვებელმა ალპელმა ადრესეზონში, სიდნეისა და ჰამბურგში მოიპოვა. მაგრამ მერე როგორლაც მოეშვა, თამაშის იშტა გაინელა და მთელი შუაწელი-ჩააგდო. თავდაჯერება მან მხოლოდ სექტემბრიდან უკუიგო — იქიდან მოყოლებული უკვე 14 მატჩი გამართა და მხოლოდ ორჯერ იძლია.

ეს გამარჯვება მან აგვისტოში ავტოავარიაში დაღუპულ მწვრთნელს, პიტერ კარტერს მიუძღვნა...

ფედერერი: „ჰო, ამ ტიტულს პიტერს ვუძღვნი, ის მე ძალიან დამაკლდა... სხვაფრივ — დღეს შეზღუდული კარია იყო. ამ ტურნირის ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ქალაქიც ძალიან მიყვარს და აქაური ქომაგიც... მასტერსთასზე გასვლის შანსები მართლაც გაიზარდა, ეს ხომ, იქ მოხვედრას ასეთივე როგორანი თამაშით ვეცდები“.

ფედერერის მიერ ძლეულ ნოვაკს ფინალში წლეულს ერთხელაც ვერ ეთამაშა — მარტო 6-ჯერ ის ნახევარფინალში შეაყოვნეს. მართალია, პირველი სასეზონო ფინალი წარუმატებელი გამოუდგა, მაგრამ ნაღველს რამდენიმე სტატისტიკური გარემოება გაუქარვებდა. პირველი ის, რომ წლეულს ნათამაშებ 71 შეხვედრაში უკვე 48 გამარჯვება დაუგროვდა, მეორეც ის, რომ ჩემპიონთა რბოლაში მეთერთმეტე ადგილზე მდგომს მეათეზე მყოფი ენდი როდიკისგან ახლა მხოლოდ 7 ქულაღა აშორებს.

ჰო, მართლა — ფედერერს ჯილდოდ 119 750 დოლარიც ერგო.

**PORSCHE TENNIS GRAND PRIX**
ფილდერშტადტი. ჰარდი
საპრიზო 625 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**კიმ კლაისტერსი** (6, ბელგია) — **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) 4:6, 6:3, 6:4; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) 6:3, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (8, სლოვაკეთი) — **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) 6:1, 6:2; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) 6:2, 6:3

**ნახევარფინალი**
**კლაისტერსი** — **მორესმო** 3:6, 6:3, 7:5; **ჰანტუხოვა** — **დემენტიევა** 6:3, 6:2

**ფინალი**
**კლაისტერსი** — **ჰანტუხოვა** 4:6, 6:3, 6:4

ლეიტონ ჰიუიტის ფუმფულა ქალმა, 19 წლის კიმ კლაისტერსმა ფინალამდე ლინდსი დევენპორტსა და ამელი მორესმოს მოუღო ბოლო, ხოლო ფინალში თავისკბილა სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვასთან ორსაათიანად იბულრავა. ამ ბულრაობას მისთვის მეორე საწლევანდლო და მერვე საკარიერო ტიტული მოჰყვა. პირველად წლეულს კიმმა მაისში, ჰამბურგულ ტურნირზე იმარჯვა.

ფილდერშტადტურმა წარმატებამ კლაისტერსის ბიუჯეტი 97 ათასი დოლარით გაამდიდრა, ხოლო გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგსიაში მან აქამომდელი მეცხრე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლა.

გრძელფეხება ჰანტუხოვასთვის ეს მეორე სასეზონო ფინალი გახლდათ — გეხსომებათ, მარტში მან ინდიანუელსურ საკორტეთზე თვით მარტინა ჰინგისი დაამარცხა, რათა კარიერის პირველი ტიტული მიესაკუთრებინა. ჰოდა, თუკი ჰინგისი ამ კვირაში ზეათეულიდან 6-წლის განმავლობაში პირველად გამოვარდა, დანიელას სწორედ ამ კვირიდან ვიხილავთ ქალთა ზეპურ ათეულში. ორშაბათამდე მას მე-11 საფეხური ეჭირა, ორშაბათიდან კი მე-9 ადგილზე მყუდრობს.


პოლ-ანრი მათიო


კიმ კლაისტერსი


REUTERS ფოტოები
ალექს კორეჩა

# შენ დაუკარ!
## ნაროკალ დარბაზში ჩოგბურთი როკავს

**მასტერსის სერია**
მადრიდი. ჰარდი.
საპრიზო 2,950 მილიონი $

**პირველი წრე**
**ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) 6:4, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) 6:1, 6:1; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) 6:4, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — **ანდრე სა** (ბრაზილია) 6:3, 6:2; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) 6:2, 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — **მაქს მირნი** (ბელარუსი) 6:4, 6:4; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:2, 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — **რაინერ შიუტლერი** (გერმანია) 1:6, 6:4, 7:6 (7:5); **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) 6:2, 6:2; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) 6:7 (2:7), 7:6 (7:4), 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:4)

წლევანდლიდან რომ მადრიდული მასტერსტურნირი ერქმევა — ვგებ ჩოგბურთის დავთრებში ჩახედულებს გახსოვდეთ — შარშანდლის ჩათვლით შტუტგარტში იმართებოდა. ჰოდა, ამ რამდენიმე ხნის წინ როგორლაც გადაწყდა, რომ ამ ბობოლა ტურნირის გამართვის პატივი ესპანელთა სატახტო ქალაქს რგებოდა. ესპანელებიც სანაქებოდ გაირჯნენ — დიდი რამ საროკე და საროკავი დარბაზი მოაჩოგბურთისეს და იქ საჯომარდოდ მრავალი სახელიანი მეჩოგნე იწვიეს.

წვეულთ უკანასკნელ მომენტში დააკლდათ უეცრად ვირუსშეყრილი ლეიტონ ჰიუიტი, ხოლო პიტ სამპრასი რომ პირმშოს გაჩენამდე ჩოგნის განძრევას არ აპირებს, ეგ ყველამ ისედაც ვიცოდით. მადრიდული საკორტეთისთვის მათ მიერ ნასაკლისები ქარიზმის შევსებას დავალათიანნი — ანდრე აგასი და გუსტავო კუერტენი შეეცდებიან.

ჩაუქი და კისკასი ჩოგნობის მოლოდინს ისიც ამძაფრებს, რომ შანხაის მასტერსთასზე გამყვანი დარჩენილი ექვსი საგზურისთვის ჩემპიონთა რბოლაში ფიცხელი ბრძოლაა გაჩაღებული და ბევრი მრბოლთაგანი მადრიდში გაბურთავებასაც გეგმავს. ამათ შორის არიან თავად ესპანელნიც — ხუან კარლოს ფერერო (მე-4 ადგილი რბოლაში), კარლოს მოია (მე-6), ალ კოსტა (მე-8) და ალექს კორეჩა (მე-15).

იმ დღეს ამათგან მხოლოდ კორეჩამ ითამაშა. თვისტომი ფერნანდო ვისენტე მას შეუპოვრად ეპაექრა, მაგრამ სეტის წაგლეჯვა მისთვის მაინც ვერ შეძლო. ახლა კორეჩას მე-9 ნომრად განთესილ ევგენი კაფელნიკოვთან დავა მოუწევს. კორეჩას მეორე წრეში მიჰყვა „მხეცად“ წოდებული ბელარუსის, მაქს მირნის მძლეველი ესპანელი ტომი რობრედო.

ესპანურ „არმადას“ მეორე ფრანსისკო კლავეტი ჩამოშორდა. ის წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტმა დავიდ ნალბანდიანმა დაჩაგრა.

იმარჯვა მეორე არგენტინელმაც აგუსტინ კალერიმ, ვინაც ჭაბუკ ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს ასევე სეტისწაუგებლად აჯობა. თუმცა არგენტინელებმა იმ დღეს ზარალი მაინც უფრო დიდი ნახეს — მარიანო საბალეტას, ხუან იგნასიო ჩელასა და აპრილ-მაისში ბარსელონურ-მალიორკული თიხნარტურნირების მიჯრით მომგებ გასტონ გაუდიოს სახით!

ამ უკანასკნელს იოლად სძლია მარსელო რიოსმა, ვისაც წლევანდელი სეზონი მუხლის ტრავმამ წაუმურდლა. ტრავმა რიოსს ახლაც აწუხებს, თუმცა არა იმდენად, აქა-იქ თავისი ეშხიანი ბურთაობით რომ ვერ გაიბრწყინოს. ფიზიკურად კარგად ვარ, იმის მიუხედავად, რომ ამ ტურნირამდე ძალიან ცოტა ვივარჯიშეო.

ჩილელ ქომაგობას მათი ჭაბუკი ჯილის, სწრაფად მზარდი ფერნანდო გონსალესის გამარჯვებაც ეამებოდათ. გონსალესმა საათზე ექვსი წუთით მეტი მოანდომა ბრაზილიელი ანდრე სას რბევას.

დღის ერთადერთი სამსეტიანი შეხლა კი ზემოთ ნახსენებ საბალეტასა და ბარძაყმოკეთებულ მაგნუს ნორმანს, მსოფლიოს ოდინდელ მეორემეჩოგნესა და 2000 წლის როლანგაროსის ფინალისტს შორის შედგა. შვედმა მეტოქის წინააღმდეგობა გადამწყვეტ სეტში გატეხა და ლაღი თამაშით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საზეო ფორმის დაბრუნებას ძალიან ბევრიც არ უკლია.

**SWISSCOM CHALLENGE**
ციურიხი. ჰარდი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**პირველი წრე**
**ელენა დოკიჩი** (5, იუგოსლავია) — **ივა მაიოლი** (ხორვატია) 6:1, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) 6:4, 6:3; **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **ანკა ბარნა** (გერმანია) 6:2, 7:5

ციურიხელი ქომაგობა იმედით გამოელოდა მისი 17 წლის ბუთქუნა ჯილის, მირიამ კაზანოვასა და 30 წლის ოდინდელი მეუიმბლდონის, კონჩიტა მარტინესის განდაგანას. კაზანოვამ ეს-ესაა ფილდერშტადტში გასრულებული ტურნირის მეოთხედფინალს უწია და შვეიცარიელები იმედოვნებდნენ, რომ შინაც წარმატებით გამოვიდოდა. ვერ მიერთვათ. ბებრისამ აქაც მოხნა და მირიამი მერე იძახდა, ასეთი რანგის მეჩოგნესთან თამაში იოლი არ ყოფილა, ისეთი ნატოფები მირტყა, თავგზა ამიბნიაო.

სხვაფრივ — სეზონის 74-ე შეხვედრა საათზე ნაკლებ დროში მოამთავრა და (ამ წლის განმავლობაში 58-ე ადგილიდან ამჟამინდელ 27-მდე ალზევებულ) ივა მაიოლის ერთი სეტიც არ დაანება მკერდბარაქიანმა იუგოსლავ ელენა დოკიჩმა. დოკიჩი ციურიხში მე-5 ნომრადაა განთესილი.

**ლევან ძილაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სორელი 2008

## ხომ ლამაზია ეს ჩემი გოგო?!

## ქართველმა სიძეებმა დააგვიანეს



*მიზანი მიღწეულია! საქართველოს ნაკრები 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ჩვენების ჯგუფი უკვე ცნობილია. ბორჯღალოსნების მეტოქეები ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, სამოა და ურუგვაი იქნებიან. ცხადია, ავსტრალიაში წარმატებაზე ფიქრი ჯერ ოცნებაა, მაგრამ ერთი გამარჯვების მოპოვება კი რეალობასთან ახლოა.*

*ბორჯღალოსანთა ამ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელი, ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი აქედანვე ემზადება საგაისო მსოფლიოს თასისთვის. რუსების დამარცხების შემდეგ სორელი თბილისში დარჩა და მზადების მისეული გეგმის შედგენა დაიწყო.*

*ქართველ მორაგბეთა თავკაცს გუშინ რაგბის კავშირში შევხვდით*

**— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რას მიაღწევს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე?**

— ოცნებას ნუ ავყვებით. ჯგუფიდან გასვლა შეუძლებელია. ჩვენ დებიუტანტები ვიქნებით, მეტოქეებად კი საკმაოდ გამოცდილი გუნდები გვეყოლება. სამხრეთ აფრიკისა და ინგლისის ძალა ყველამ კარგად იცის. სამოამ ოთხივე მსოფლიოს თასზე ითამაშა, ურუგვაიმ კი ერთხელ ანუ მასაც აქვს ამგვარ ტურნირებზე თამაშის გამოცდილება. საკმაოდ შეკრული გუნდია და ძლიერი შერკინება ჰყავს. ჩვენი მიზანია, ღირსეულად ვითამაშოთ მსოფლიოს თასზე.

**— ღირსეულად თამაში რას გულისხმობთ?**

— რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ ჯგუფში.

**— კონკრეტულად?**

— თუ მესამეზე გავალთ, ეს იქნება მაქსიმუმი, ის, რისი თავიც სადღეისოდ გვაქვს. რეალურად კი მეოთხე ადგილის დაკავება შეგვიძლია. სამხრეთ აფრიკასთან და ინგლისთან მძიმე ბრძოლა გვექნება. მთავარია, მათთან ღირსეულად ვითამაშოთ და რაც შეიძლება ნაკლები მორაგბე დაგვიშავდეს. ასეთ გუნდებთან ჯახში ტრავმების ალბათობა ძალიან დიდია. სამოას ბევრი პრობლემა უნდა შევუქმნათ და მის დამარცხებას ვეცადოთ. აი, ურუგვაი კი ბევრით ვერ გჯობნის, ჩვენი უპირველესი მიზანია, მას მოვუგოთ.

**— ასე იგი, მთლად განწირულებიც არ ყოფილხართ?**

— რა თქმა უნდა, არა. საქართველომ იმ დონეს მიაღწია, როცა სერიოზულ გუნდებთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლია. ურუგვაი ძლიერი კია, მაგრამ მისი დამარცხება შესაძლებელია.

**— მოსამზადებელი პროგრამაც შედგენილი გექნებათ...**

— დიახ, და საკმაოდ გრძელვადიანიც. ის მოიცავს მზადების ექვსწლიან ციკლს. ჩემი გათვლით, ამ პროგრამით საქართველოს ნაკრები 2006 წლის შვიდკაცა და 2007 წლის თხუთმეტკაცა რაგბის მსოფლიოს თასზე უნდა მოხვდეს. ასევე 2008 წლის ოლიმპიადაზე უნდა ვითამაშოთ. ოლიმპიადის პროგრამაში შვიდკაცა რაგბი პირველად იქნება შეტანილი.

**— გამოდის, 2008 წლამდე საქართველოს ნაკრებიდან წასვლას არ აპირებთ?**

— ეს დამოკიდებულია საქართველოს რაგბის კავშირზე. თუ კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე მიიღებს ჩემს პირობებს და თანამშრომლობის გაგრძელებაზე თანახმა იქნება, მე დარჩენის წინააღმდეგი არ ვარ. თუ ჩემი წინადადებები და მზადების გეგმა მიუღებელი იქნება, მაშინ წავალ იმიტომ, რომ არ მსურს იქ მუშაობა, სადაც რაიმეს გაკეთება არ უნდათ და უნდა დააძალო.

**— თქვენი პროგრამა საკმაოდ გრძელვადიანია. მსოფლიოს თასი კი გაისად გაიმართება. ამ ტურნირისთვის თუ გაქვთ მზადების კონკრეტული გეგმა?**

— ეს გეგმა დამუშავების პროცესშია. მონახაზი მაქვს, ახლა დაიხვეწება და საბოლოო ვარიანტს ჩამოვაყალიბებთ. რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი ბიძინა გეგიძესთან არის შესათანხმებელი.

**— ზოგადად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რას მოიცავს ეს გეგმა?**

— რამდენიმე ამხანაგურ მატჩს და გრძელვადიან შეკრებებს. ამასთან, საჭიროა ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებს რაც შეიძლება მეტი ყურადღება დავუთმოთ. მე გავაანალიზე ჩვენი რესურსები და მივედი იმ დასკვნამდე, რომ თუ ეროვნული ნაკრები შევსებას არ მიიღებს, სამომავლოდ ძალიან გაგვიჭირდება. წარმოიდგინეთ, საქართველოში სამასამდე ზრდასრული მორაგბეა, როცა საფრანგეთში ამდენს ორი კლუბი შეკრებს. ამიტომაა საჭირო, რაც შეიძლება მეტი და მეტი ახალგაზრდა ჩავრთოთ საქმეში. თორემ თუ თაობა არ წამოვიდა, ნაკრების დღევანდელი რესურსები დიდ დიაპაზონს ვერ გასწვდება.

**— თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებს პროგრესის რა რეზერვი გააჩნია?**

— რეზერვი დიდია, მთავარია, ამას სწორი მიმართულება მიეცეს. დღეს ნაკრები თავისი პოტენციალის სამოცდაათ პროცენტს იყენებს. დარჩენილი ოცდაათი პროცენტი უნდა გავხსნათ და შესაძლებლობების მაქსიმუმს მივაღწევთ. უკანა ხაზის მწვრთნელად პატრიკ ფორიც ამიტომ მოვიწვიე. მარტო ვერ ავუდიოდი ამხელა სამუშაოს. ფორი კარგი მწვრთნელია, ის შეძლებს, მაქსიმუმი გამოწოვოს. პოტენცია არის, თორემ ნაკრებში კიდევ დიდი ხნით დარჩენაზე არ ვიფიქრებდი.

**— თავად თქვენ არ ამოგიწურავთ შესაძლებლობები საქართველოს ნაკრებში?**

— ჯერ არა. ასე რომ ვთვლიდე, უკვე წავიდოდი. მე ის მწვრთნელი ვარ რომელიც ყოველდღე ახალს სწავლობს. ჯერ კიდევ შემიძლია, საქართველოს ნაკრებს პროგრესში დავეხმარო, ბოლომდე არ დავხარჯულვარ. ახლა გარდამავალი პერიოდი დგება. მსოფლიოს თასზე გავედით, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და ელიტაში დასარჩენად ვიბრძოლოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი თავი არ ამომიწურავს.

**— ხუთი წელია, საქართველოს ნაკრებში მუშაობთ. აქედან ბოლო სამი წელი მთავარი მწვრთნელი ხართ. ამ ხნის მანძილზე თუ მიგიღიათ გადაწყვეტილება, რომელიც გინანიათ. ან ხომ არ გიფიქრიათ, რომ ნაკრებს რაღაც დააკელით?**

— რა თქმა უნდა, ერთიც იყო და მეორეც. ვცდილობ, ამას უფრო პოზიტიური თვალით შევხედო. ახლა არ მინდა დაწვრილებით ვილაპარაკო ყველა ჩემს შეცდომაზე, მით უმეტეს, მიზანი მიღწეულია — მსოფლიოს თასზე ვითამაშებთ. ისე კი, ჩემს და სხვის შეცდომებზეც ბევრი მისწავლია.

**— ჩვენში ქართული მენტალიტეტი აქტუალური თემაა. იყო შემთხვევები, როცა უცხოელი მწვრთნელები მენტალიტეტს გვიწუნებდნენ. თქვენ თუ შეგქმნიათ პრობლემები?**

— არასდროს. ვფიქრობ, ქართველები ისეთივე მენტალობის ხალხი ხართ, როგორიც სხვა აღმოსავლეთ ევროპელები. ვერაფერი უარყოფითი თქვენს მენტალიტეტში ვერ დავინახე. ბიჭებთან ვმეგობრობ. თუ ერთმანეთის რაიმე არ მოგვწონებია, ამას ვამბობთ და ერთ აზრზე ვრიგდებით. მე არ მქონია პრობლემები, რომლებიც მენტალიტეტის ბრალი იყო. ქართველების ხასიათი ძალიან მომწონს. ეს აქ ჩამოსვლის პირველივე დღეს დავინახე. თქვენი ხასიათის პატრონებს ნებისმიერ ძლიერ მეტოქესთან შეგიძლიათ ბრძოლა. სხვა საქმეა, მოიგებთ თუ არა. მთავარია, რომ ჟინი გაქვთ და თუ სწორი კალაპოტი იქნება, თავდაუზოგავად შრომობთ. ამას ვამბობ ჩემი ბიჭებიდან გამომდინარე. მუხლჩაუხრელი შრომით მათ მთელ საქართველოს დიდი სიხარული აჩუქეს.

**— თქვენთვის რას ნიშნავდა რუსებთან მატჩი? მარტო სპორტული დატვირთვა ჰქონდა თუ...**

— ძალიან მინდოდა, არ მეფიქრა მოედნისგარე ინტრიგებზე, მაგრამ როცა ბიჭებს თვალებში ჩავხედავდი, ვხვდებოდი, ეს რაგბიზე მეტი იყო. ჩვენ, ფრანგმა მწვრთნელებმა კარგად ვიცით, რას ნიშნავს თქვენთვის რუსებთან თამაში. ისიც ვიცი, რომ რუსეთი საქართველოს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეა ყველა სფეროში. ახლახან არ იყო, პუტინი დაბომბვით რომ გემუქრებოდათ... ისტორიიდან მახსოვს, რომ ყველა სადავო საკითხს რუსეთი სისხლისღვრით წყვეტდა და მუდამ ცდილობს, გაგამწაროთ. ასე რომ, კარგად მქონდა გაცნობიერებული ამ მატჩის მნიშვნელობა. ბედნიერი ვარ, რომ ქართველი ერის უზომო სიხარულის მონაწილე გავხდი. დიდ მეზობელს პატარა, სიღარიბის ზღვარზე მყოფმა ქვეყანამ დაუმტკიცა, რომ ერთი მაგარი ბრძოლის მოგება მაინც შეუძლია.

**— ეტყობა, ამ მატჩის მნიშვნელობა თქვენმა ოჯახმაც კარგად იცოდა, რადგან თქვენი მეუღლე და ქალიშვილი დავინა საგანგებოდ ჩამოვიდნენ თბილისში. დავინამ ისიც გვითხრა, გადამწყვეტ მომენტში მამაჩემს გვერდით უნდა ვედგეო.**

— ჩვენი ოჯახი ძალიან შეკრულია. დავინა კი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ის სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს. ოთხი წლის იყო, როცა „ბეზიესთან" ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გავხდი. მაშინ დედამ ჩამოიყვანა პარიზში, სადაც ფინალი გაიმართა. ორი წლის შემდეგ ისევ ჩემპიონები გავხდით და დავინამაც ჩემთან ერთად გაიზიარა სიხარული. ასე რომ, ჩემი წარმატებებით გამოწვეული სიხარული დაებედა. ძალიან გამიხარდა, როცა მეუღლე და დავინა ჩვენს მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ. მეორე ქალიშვილსაც უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ვერ მოახერხა, კანადაშია გათხოვილი და...

დავინა კი აღფრთოვანდა ქართული მასპინძლობით. ის და დედამისი პირველად იყვნენ საქართველოში და აქედან იმდენი სითბო წაიღეს, მგონი, ყველა მატჩზე ჩამოვლენ... ხომ ძალიან ლამაზი გოგო მყავს?

**— ძალიან. ვინმე ქართველ მორაგბეს რომ მოსწონებოდა და თქვენი სიძეობა დაეპირებინა, რას იტყოდით?**

— წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, მაგრამ დააგვიანეს, დავინა თავის საქმროსთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

**ბაჩო სვანიძე**

# დაბრუნება წარსულში

*ნარიყალაზე გადმომდგარი ქართლის დედა რასაც ეუბნება თბილისში ჩამოსულ მტერსა თუ მოყვარეს, ამას ერთიც კარგად ხედავს და მეორეც. ოღონდ ეგაა, ჩრდილოეთიდან ჩვენს თავზე ბომბების გადმომყრელთ ჯერჯერობით გაშიშვლებული მახვილით კი არა, ძველებურად ღვინით სავსე ფიალებით ვხვდებით.*

*ახლაც ასე იყო, როცა საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა თუ მორაგბეთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩებზე ჩამოსულთ ვუმასპინძლეთ.*

*ცხადია, სპორტულ სარბიელს მიღმაც არაერთი შეხვედრა, მიღება თუ პრესკონფერენცია გაიმართა, მათ შორის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში. იქ სრულიად რუსეთის ნებაყოფლობით საზოგადოება „სპორტივნაია როსიას" ფრიად წარმომადგენლობით დელეგაციასთან საპრესკონფერენციოდ გვიხმეს.*

*მანამ ამაზე მოგითხრობდეთ, ორიოდე სიტყვით თავად „სპორტივნაია როსიას" წარმოგიდგენთ*



რუსი ვიაჩესლავ ფეტისოვი ქართველ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მაისურით

**იგი** ამ ზაფხულს დაარსდა და მის თავმჯდომარედ წარსულში მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ჰოკეისტი ვიაჩესლავ ფეტისოვი აირჩიეს, ვინც იმავდროულად რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეც გახლავთ. მისი მეთაურობით „სპორტივნაია როსიამ" უკვე არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა, რაც ამ ორგანიზაციის მიერ გავრცელებული პრესრელიზითაც შევიტყვეთ. თავად რუსეთის დელეგაციის ვიზიტიც ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდა.

„ქართველი ათლეტები საბჭოთა სპორტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. და ამ დელეგაციის ვიზიტის მიზანი ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური დაძაბულობის შენელება, რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებაა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობათა განსავითარებლად დაგეგმილია შეხვედრების ჩატარება, სადაც განვიხილავთ სახელმწიფოთაშორისო დონეზე დელეგაციების, ბავშვთა გუნდების გაცვლისა და სპორტული ბაზების გამოყენების საკითხებს"-ო — ესეც ეწერა იმ პრესრელიზში, რომელიც პრესკონფერენციაზე დაგვირიგეს.

პრესკონფერენციაო, კი ვამბობთ, მაგრამ ამას უფრო საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ აქტივთან რუსეთის დელეგაციის შეხვედრა ეთქმოდა. ეს იყო შეხვედრა წარსულთან, სადაც ძველი დროებაც გაიხსენეს და ერთმანეთს ხელიც ძველებურადვე მეგობრულად გადახვიეს.

ძველი დროება ამ შეხვედრის დიდი დაგვიანებით დაწყებამაც გაგვახსენა. პირველ საათზე დაბარებულებმა შეხვედრის დასაწყისის მოლოდინში კარგა ხანს ვიყურყუტეთ. ეტყობა, საბჭოთა პიმნადგენილ რუსთა დელეგაციასთან შესახვედრად მოსკოვის დროით დაგვიბარეს. მერე იყო და, შეხვედრის მონაწილეებმა, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც იმდენი ილაპარაკეს ოდინდელ დროებაზე, რომ ერთ-ერთ მასპინძელს დროც აერია, ქამიც და იმ ქვეყნის სახელიც, რომელშიც ცხოვრობს. ამ „არეულ" ვითარებაში წამოცდენილი „სოვეტსკაია გრუზია" მხოლოდ ერთ ქალბატონს ეხამუშა, რაზეც გულიანად გადაიკისკისა.

სიტყვით გამოსულმა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა სტუმრებს რუს-ქართველ სპორტსმენთა ძველი თბილი ურთიერთობებიც შეახსენა და ისიც, რომ ჩვენი რევაზ ჩომახიძე თქვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს „თავის დროზე" უანგაროდ დავუთმეთ და მისი წყალობით დიდ წარმატებებს აღწევთო. ჰოდა, კარგი იქნება, თუ ახლა ჩვენი გაჭირვებული წყალბურთის ფეხზე დადგომაში დაგვეხმარებითო.

სტუმრებს მიმართეს საქართველოს ჩოგბურთის, ფიგურული ციგურაობის, ჭიდაობის ფედერაციების პრეზიდენტებმა (შესაბამისად — ლეილა მესხმა, ირაკლი ჯაფარიძემ, გოჩა ძასოხოვმა) და სხვებმა, მათ შორის, როგორც იქ წარადგინეს, „ახალგამომცხვარმა" მსოფლიოს ჩემპიონმა ელდარ კურტანიძემ.

სხვათა შორის, მასპინძლებს არათუ წარსული, რუსული ოდნავაც კი არ დავიწყებიათ და ორატორული ნიჭით სტუმრებზე უკეთესი შთაბეჭდილებაც კი დატოვეს.

რუსები, თავის მხრივ, ქართველებთან სამომავლო ურთიერთობის ზოგად გეგმებსა და ურთიერთდახმარებაზეც საუბრობდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა, რუსეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა სერგეი ელისეევმა კი ტაშის გრიალში თავისი დაპირება ორი საჭიდაო ხალიჩის ჩუქების თაობაზე თავის თბილისელ კოლეგა ნოდარ ექვთიმიშვილსა და ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ იაძეს ჩარჩოში ჩასმული შესაბამისი სერტიფიკატის გადაცემით დაუდასტურა.

მაგრამ რუსები ამ შეხვედრაზე მხოლოდ ამ ძღვენით როდი მოსულან. ვიაჩესლავ ფეტისოვმა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილს თანამემამულე ბავშვების მიერ საფეხბურთო თემაზე შესრულებული ნახატებიდან ერთი პირადად მას აჩუქა, მეორე კი საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისთვის გადასცა. ამას გარდა, ფეტისოვმა მეძმარიაშვილს აჩუქა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შეზღუდული რაოდენობით დასტამბული ძვირფასი წიგნი „ჩვენი პუშკინი".

თავის მხრივ ირაკლი მეძმარიაშვილმა რუს კოლეგას საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მაისურა აჩუქა წარწერით „ფეტისოვ", მის ქვემოთ კი N2 ეწერა, ის ნომერი, რომლითაც ფეტისოვი რუსეთის ეროვნულ ნაკრებსა თუ აშშ-ის გუნდებში „დეტროიტსა" და „ნიუ ჯერსიში" თამაშობდა.

ბოლოს სტუმრებს ერთი-ორი შეკითხვაც დავუსვით, რომლებიც უფრო სპორტს კი არა, პოლიტიკას ეხებოდა.

„როდესაც თბილისში მოვემგზავრებოდი, ჩემმა გოგონამ მკითხა, მამიკო, საქართველოში რომ მიდიხარ, არ გეშინიაო? — გვეუბნება ვიაჩესლავ ფეტისოვი — როდესაც ჩვენი დელეგაციის თბილისში ჩამოსვლის საკითხი დადგა, იგი უპრობლემობის გამო მაშინვე დაიხურა. ეს საკითხი სერიოზულად არც განგვიხილავს. ვალერი გაზაევთან და ვიაჩესლავ კოლოსკოვთან საუბრისას გადავწყვიტეთ, რომ საშიში არაფერია. და საერთოდ, აქ ჩამოსულთ სულ სხვა სურათი დაგვხვდა. გაზეთები ერთს წერენ, რეალობა კი სულ სხვაა. ჩვენ აქ მეგობრებთან ვართ".

**ავთანდილ ბუჩიზილი**

**ავტორის ფოტოები**



ვიაჩესლავ ფეტისოვმა ირაკლი მეძმარიაშვილს „ჩვენი პუშკინი" ჩამოუტანა



# კენიელი მამას გაევიდა და ბორჯომში ჩავიდა

*კენიელმა ფემი კიპრუტემ 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა.*

*ახლა, 30 წლის მერე, კენიელი ფემი კიპრუტე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბორჯომში გამართულ მძლეოსნურ კროსში გამარჯვების მერეც ვიხილეთ. ეს მოხდა კვირას, როცა სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო კროსი გაიმართა*

ცხადია, მიუნხენის ტრიუმფატორი 30 წლის მერე ბორჯომში, როგორი სუსტი მეტოქეებიც არ უნდა ჰყოლოდა, ველარ გაიმარჯვებდა. სამაგიეროდ, მის კვალს მისი ვაჟი, ისიც ფემი კიპრუტე დასდგომია და ბორჯომის პლატოზე გამართულ ამ შეჯიბრებაში სწორედ მან იყოჩაღა. ამისთვის ფემის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწესებული 500 დოლარი გადაეცა. ასე რომ, მამის კვალზე დამდგარი კენიელი ბედმა ბორჯომშიც ჩამოიყვანა და გაამარჯვებინა კიდეც.

და სულაც არ გაგვიკვირდება, თუ ამ ფემი კიპრუტეს გვარს ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა შორისაც ამოვიკითხავთ, რადგან მას მსოფლიოს საუკეთესო ათეულში ვხედავთ

კიპრუტეს ბორჯომულ კვარცხლბეკზე მხარი დაუმშვენა მისმა თვისტომმა ვაპეტ ლოიმ (17 წუთი 37 წამი), ვინც გამარჯვებულს ორიოდე წამითა და შესაბამისად პრემიალური 200 დოლარით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის გამარჯვებისთვის იბრძოდა 21 კროსმენი, რომლებიც ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, გერმანიის, ისრაელის, კენიის, რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ. ამ „თანავარსკვლავედში" საქართველოდან ექვსი სპორტსმენი ვიხილეთ, რომელთაგან მასპინძელთა მუნდირის ღირსება ყველაზე უკეთ, და მოსალოდნელიც იყო, ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა (18.46) დაიცვა, რისთვისაც მან პრიზად 200 დოლარი დაიმსახურა.

ქალთა შორის სტარტზე ცხრა მორბენალი გავიდა, რომელთაგან ორი მასპინძელი იყო.

აქაც, როგორც მოსალოდნელი იყო, კენიელმა იმარჯვა. ჩემპიონობა მერი პტიკანუმ (19.54) მოიპოვა. მეორე იყო ავსტრიის ჩემპიონი ანდრეა მაიერი (21.40), ხოლო მესამე — ბულგარელი დობრიკა ვასკოვა (22.13).

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესომ, ახმეტელმა ნინო თათრულაიძემ V ადგილი დაიკავა (23.09).

— მართალი რომ გითხრათ, ნინოსგან ასეთ კარგ შედეგს არ ველოდით — გვეუბნება მაია აზარაშვილი — მან, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს აჯობა იგი ჯერ თხუთმეტისაა და მხოლოდ ორი-სამი წელია, რაც სერიოზულად ვარჯიშობს. ნინო ისედაც ძალზე პერსპექტიულ სპორტსმენად მიგვაჩნდა, ახლა კი მით უმეტეს, უფრო დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე. დიდ იმედებს ვამყარებთ ამ ტურნირის მომავალზეც, რომელიც პირველად ჩატარდა. ვგულისხმობ საერთაშორისო ტურნირს, თორემ საქართველოს მოსწავლეთათვის იგი მრავალი წელია, ეწყობა. მათთვის შეჯიბრება უცხოელთა სტარტის ალებამდეც ჩავატარეთ, 100-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა.

— თავად შეჯიბრება მშვენივრად იყო ორგანიზებული. ყველა მონაწილე აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი მასპინძლობით, ცხოვრებისა და შეჯიბრების პირობებით, ბუნებამ კი ყველა კმაყოფილი დატოვა. მათ ერთხმად გამოთქვეს ამ ტურში მონაწილეობისა და მისი მასშტაბების გაფართოების სურვილი, რასაც უთუოდ მივაღწევთ. ეგ კი არა, მეც გამიჩნდა სურვილი, რომ ამ შეჯიბრებაში გამოვიდე.

— ასპარეზობის მონაწილეებს დიდებული სიურპრიზი მოუმზადა ჩვენმა სახელოვანმა მოჭიდავემ რომან რურუამ, რომელმაც თბილისისკენ მომავალი სპორტსმენები მცხეთობაზე, მერე კი შინ მეფურ სუფრაზე მიიწვია.

— ყოველივე ამის გამო დიდი მადლობა რომან რურუას, მადლობა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს გოჩა ძასოხოვს, რომლებმაც ჩემპიონთათვის პრემიად 500-500 დოლარი გაიღეს. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და შეჯიბრების გენერალურ სპონსორს, მუშისა და მინერალური წყლების კომპანიის ხელმძღვანელობას, აგრეთვე ბორჯომის გამგეობას, რომელიც ჩვენს ყველა თხოვნას უმალ აკმაყოფილებდა.

— ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ შეჯიბრებას მაყურებელი აკლდა. არადა, ბორჯომის გამგეობამ მაყურებელთა ბორჯომის პლატოზე ასაყვანად უსასყიდლო ტრანსპორტი გამოყო.

**ავთანდილ ბუჩიზილი**



## რეგულარული ჩემპიონატი 14 ოქტომბერი

**ტორონტო 4:5 პიტსბურგი 1:1 1:2 2:2**
1:0 დომი (7), 1:1 ლემიე (11), 2:1 სუნდინი (30), 2:2 ნიემინენი (37), 2:3 მოროზოვი (40), 3:3 ტაკერი (45), 3:4 მოროზოვი (48), 4:4 მოგილნი (57), 4:5 ლემიე (58)

**კოლორადო 1:2 ბოსტონი 1:0 0:1 0:1**
1:0 სკოულა (7), 1:1 ლაპოინტი (31), 1:2 სამსონოვი (60)

**ვანკუვერი 2:3 კალგარი 0:0 2:2 0:1**
1:0 მორისონი (21), 2:0 სოპელი (28), 2:1 კონროი (33), 2:2 დიუპონი (34), 2:3 კობასიუ (56)

**კოლუმბუსი 2:4 ფინიქსი 1:2 0:1 1:1**
0:1 ნადი (7), 0:2 დოუნი (11), 1:2 ქნუტსენი (20), 1:3 უილსონი (24), 1:4 მარა (47), 2:4 შამჩუკი (57)

რამაზ გოგლიძე ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი და კეთილშობილი ადამიანი

**ნუგზარ ებრალიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს


**სარბიელი**
**სპორტული გაზეთი**
**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**
**გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge